

№13-14
1937.

ბიბლი

წიგნების
წიგნების



გაბრუებული იბერი ახუ რეგორ ითვარისწინებდა თავის „ბრწყინვალე მომავალს“ აჭარის „მთა-
ვალე რესპუბლიკის“ ბითურ-პრაგოიყუბი გეგარინა დოთქიყუანიძე.



სამი მსჯელობა



ერთ ქალაქში შევიარე საქმისათვის არ შემთხვევით. და ერთ „წერილმანს“, რაც იქ ვნახე მოგახსენებთ აქვე, ქვევით.

სასტუმროში მომცეს ბინა მივლინება რაკი მქონდა, (ჩემი ტანი ბალღინჯოებს გაჰქონდათ და გამოჰქონდათ).

გავათიე ღამე ფრთხილად, არ მეღირსა რული, ძილი და როდესაც დამათენდა გადავხედე გაზეთს დილით.



ვხედავ: დიდი ანშლანგის ქვეშ ცნობებია პაწაწინა, დებუშები, სხვა გაზეთში დაბეჭდილი რვა დღის წინად.

დებუშის ქვეშ მილოცვაა რაიკომის მიმართ ორი, ერთს ხელს აწერს ქარხკომი და მეორეს კი დირექტორი.

შემდეგ დადგენილება (ცასა სწვდება წვერი მისა), თვით ქალაქის დებუტატთა საბჭოს პრეზიდიუმისა.

მოდრაობის წესს ეხება მისი „სტილი“ უკვდავია, და მთლიანად მას გაზეთის ორი გვერდი უკავია.

და იქვეა მოწოდება „თუ გსურთ მხარე ააყვავოთ, ღრუტუნისას, როგორც დაკლავთ, წამსვე უნდა გაატყავოთ.

მეც მხარს ვუჭერ, ტყავისათვის დაკლულ ღორის გატყავებას,

***) სიუჟეტი აღებულია ლ. ლენინის მოთხრობიდან.

მაგრამ ვეტრფი ტყავზე მეტად ჩვენი პრესის აყვავებას.

ეს საქმე კი მარტო მშრალი ლოზუნგებით როდი ხდება... ვუტყერ გაზეთს, თემატიკის სილატაკე თვალში მხვდება.

რედაქტორის ფანტაზიაც მარადი და უკვდავია, შეცდომების გასწორებას მთელი სვეტი უკავია.

გასწორებულ სვეტებს შორის ფრაზა ვნახე მე ამგვარი: „შეცდომითვე დაბეჭდილა ჩვენი რედაქტორის გვარი.

რატიანის გვარს ნაცვლად დაბეჭდილა რეტიანი, პირველ მარცვალს „ა“ უნდოდა „ე“ კი სრულად მეტი არი.

რატიანის გახსენებით მე ბევრი რამ მომაგონდა, რატიანი... მახსოვს მახსოვს ნაცნობობა მასთან მქონდა.

ოთახიდან გამოვედი აღარ იყო ადრიანი... გავეშურე რომ შენახა რედაქტორი რატიანი

კორექტორის ხელის მიერ რეტიანად მონათლული მუდამ კადრზე მოწუწუნე, მუდამ კადრის მონატრული.

მოვიკითხე რატიანი, მიმიწვია გვერდს მომიჯდა, ვუთხარი, რომ მის გაზეთი ხალტურაა, არ ღირს ხეიშტად.

მიპასუხა რატიანმა: — მომისმინე და მიხვდები, ხალხი არ მყავს... არ მყავს ხალხი, ერთი კაცი რას გავხდები?!

— აპარატი?... მუშკორები?... მოიხმარე დაგიწერენ. — აპარატი არის, მაგრამ ხალხი არ მყავს დამიჯერე.

უხალხოვრ კი დიდი საქმე ვის უნახავს სადმე, როდის? ხალხი არ მყავს და უხალხოვრ არაფერი არ გამოდის.

თქვა და ხელი ჩაიჭნია რატიანმა უიმედოდ და შემხედდა მწუხრად, თითქოს სვედის ლოდი გულზე ელო.

ამის შემდეგ სამმა თვემ და სამმა კვირამ გაიარა და ამ ხანში აღბათ ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა.

მე კვლავ მოვხვდი იმ ქალაქში, სადაც იყო რატიანი. სასტუმროში ძლივს ვიშოვე ვასათევი ბინა ღამის.

რაიონელ მორწმუნეებს, მოეწვიათ თურმე კრება. და მეორე დღისთვის ქონდათ დანიშნული მოხსენება.

მომხსენებლად მონასტრიდან მოელოდნენ მღვდელმთავარსა, ვინც თვის „წმინდა ქადაგებით“ გაალებდა „სიბრძნის კარსა“.

დასასწრებად სოფლებიდან მისულიყვნენ მორწმუნენი და ვთქვი ნუთუ ბუზებს იჭერს რედაქტორი ახლაც ჩვენი?

ნუ თუ ახლაც „რედაქტორი“ თავში ფიქრსაც არ იკარებს, რომ დაარტყას მან პრესაში ხალხის მტრებს და მატყუარებს...“

გადავშალე გაზეთი და გულს მოედვა შვების ფონი, გაშვებული ენახე მართლაც მასში ვრცელი ფელეტონი.

რედაქცია ფაქტებით და ვანშარტებით მხიბლავ — მზილათ, ჯვაროსნების საქმეს, მიზანს დაუნდობლად ნილაბს ხდიდა.

— ყოჩად, ყოჩად, რატიანო. — უნებურად დავიძახე, მაგრამ იქვე რედაქტორის მე სხვა გვარი დავინახე.


მეორე დღეს უღმერთოთა კავშირისკენ გავიარე, ენახე მდივნის სავარძელში დამჯდარიყო „სავსე მთვარე“.

დამჯდარიყო რატიანი, უღმერთოებს „ბელადობდა“

და მის სახე სავარძლიდან სათნოების სხივებს სთოვდა.

ჯერ მივედი, მივესალმე, მეგობრულად მოვიკითხე, შემდეგ თემა შევცვალე და საქმიანად შევეკითხე:

— რაიონის უღმერთოთა ბელადობა მოგცეს ხვედრად. რას აკეთებ მორწმუნეთა დღეის კრების შესახებდრად?



ეს რა ესმა მის სახეზე აღიბეჭდა გაოცება. — რაო? კრება? მორწმუნეთა?! სად? რა კრება, რისი კრება?!.


მოხსენებას აკეთებენ? ჯვაროსნთ ბრბო თავზე გვესხმის? ვერ გავიგე, ამიხსენი. რა კრებაა პირვლად მესმის!..

— გაზეთს მაინც არ კითხულობა?! რას გიკეთებს აპარატი?! — მომატყუეს, არ მაცნობეს შევეიტყობდი აბა რაით?

აპარატმა მომატყუა, როდის არის კრება? როდის? ხალხი არ მყავს და უხალხოვრ არაფერი არ გამოდის.

თქვა და ხელი ჩაიჭნია რატიანმა უიმედოდ და შემხედდა მწყარლად თითქოს სვედის ლოდი გულზე ელო.

ამის შემდეგ ისევ სამმა თვემ და კვირამ გაიარა და ამ ხანშიც აღბათ ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა.




კაპიტანი ნემო: (ეიულ ვერნს): — კარგად ვერ იწინასწარმე ტყვედეთ ბატონო ვერნი, ჩვენმა მეზობლებმა ტექნიკაზე უფრო უსინდისობა განავითარეს!..

ისევ მოხვდით იმ ქალაქში
რატიანი სადაც იყო,
მრავალს შეხვდა თვალი ააბი ს.
ბევრი რამე შეცვლილიყო.
ერთ აფიშას თვალი მოგვარ,
წაეკითხე სასოებით,
„რელიგიის წარმოშობა“
ეწერა დიდ ასოებით.
ვთქვი, მოკიდა საქმეს ხელი
ალბათ ჩვენმა რატიანმა,
სულ კადრებზე მოწუწუნებ
და მუდამ გულ დარდიანმა.
მომეწონა მისი ქცევა,
ძველი არა—ახლანდელი,

გავიფიქრე, მომეძებნა
ჩამომერთვა ძმურად ხელი.
უსაქმომა რაკი ვუგმე
საქმისათვის მეთქვა ქება,
შაგრამ ამ დროს წინ დარაბა
შემებნენა „ხალხთა კვება“.
„სახინკლო და საკატლეტო“
შევიხედე და რა ენახე,
ჩვენი გმირის რატიანის
წინ დამიდგა კუმტი სახე.
— შენ, აქა ხარ? სიდან, როგორ?
შევეკითხე არეულად.
— ჰო, ეს მე ვარ, აქ არტელში
მომამაგრეს მზარეულად.

სულ მარტო ვარ. ხორცს ამით ვჭკრი
მიტხრა გაკვირვებულს დიდათ
და კატლეტის დასაკეპავ
მანქანაზე მიმითითა.
ავტომატით მუშაობდა,
ხორცს თვით ფქვავდა ის მანქანა,
რატიანმა უცებ ხელი
კატლეტისკენ გააქანა.
მომაწოდა მან კატლეტი
ცალგვერდ დამწვარ-დახრაკული,
მეორე მხრივ სრულად უმი,
ხალტურულად შეხანხლული.
— აპარატი ძვირფასი გაქვს: —
შევეკითხე მასპინძელსა,

აწი მაინც რა გაბრკოლებს
რაღა უშლის საქმეს ხელსა?
— კი მაქვს, მაგრამ მარტო მისგან
რა ვაკეთდა სადმე, როდის?
ხალხი არ მყავს, უხალხოოდ კი
არაფერი არ გამოდის.
სთქვა და ხელი ჩაიქნია
რატიანმა უიმედოთ
და შემხვდა მწუხრად თითქოს
სევდის ლოდი გულზე ედო.
მედუზა.



რუსეთი 37.

— რა საუცხოვო ბუნებაა!.. ნეტავ მეზობლის მანიკო, ნინიკო და გვიკოც წამომეყვანა: კიდეც დარჩა მანქანის სახურავზე დასაჯდომი ადგილები...

აღმოსავლური ზღაპარი

ერთხელ ბაღდადს არაბეთის მბრძანებელი იჯდა დიდი, ხალიფთ შორის არჩეული „ბრძენი“ პარუმ-ალ-რაშიდი.

ყავდა ვეზირთ უხუცესი პარუმ-რაშიდს თურმე ძველად, ქველს და ჭკვიანს ჯაფარ-ჰამიდს უწოდებდნენ მას სახელად.

ერთხელ ხალიფს თავში რაღაც უცხო აზრმა მოუარა და ვეზირი მან ჯაფარი სასახლეში დაიბარა.

— რას მიბრძანებთ?! — სთქვა ვეზირ არაბეთის მფლობელო დიდო, გეახელი შეგისრულოთ აბდულ-პარუმ-ალ-რაშიდო.

— გაძლევ ფირმანს: ამ ბრძანებით, — თუ დღეს გინდა სჭვრეტდე მზიანს, სწრაფად უნდა შემიდგინო სულელების ზუსტი სია.

მოიხმარე უხუცესნი, მოიხმარე, რაც გაქვს ძალა, რომ სიაში არ გამოჩნეს ვინც ჭკუაზედ არის მწყურალად!

და ამ ჩემს ვრცელ სამეფოში კვლავ გაბრთხილებ ჯაფარ ქველო, სიის გარეთ ერთი კაციც რომ დაგიჩრჩეს მოსულელო,

მაშინ, მაშინ ალახს ვფიცავ და მოციქულთ, — ცათა სწორებს, რომ ჯალათი მუხანათ თავს მაგ შენ სხეულს მოაშორებს.

არც ერთი არ გამოსტოვო, შეადგინე სულელთ სია. უნაკლო და ზუსტი სრული, თუ გსურს შეხვდე კვლავ დღეს მზიანს.

გაიარა ორმა ღამემ აბდულ-პარუმ-ალ-რაშიდი, ტახტზე ზის და ხელთ უპყრია სულელების სია დიდი.

დასცქერს... თვალებს არ უჯერებს, ბრაზით უკრთის ბაგე-კბილი; სიის თავში პირვლად მეფის სახელია ჩაწერილი!

და ჯაფარი ძლივს ლუღლუღებს მუხლმოყრილი მეფის წინა. — მაპატიეთ, თქვენ თვით ბრძანეთ ზუსტი სია შემედგინა.

სიმი.



მიუხედავად იმისა, რომ გარდა ესპანელ ფაშისტებისა, რესპუბლიკურ ესპანეთის წინააღმდეგ იბრძვის სამი სახელმწიფო: იტალია, გერმანია და მორტუგალია, წელზე მეტი გავიდა ამბოხების დაწყების შემდეგ და მადრიდის ძლიერება ვერ შეარყიეს.

ნაბ. მ. ოთაროვისა.

— ამხანაგო, იაკინთე, ჯერ ქალაქებს გასინჯავ თუ ხალხს მიიღებ?

— ვინ ხალხი? თუმცა ვიცი ვინც იქნება, სულ წამლებია?

— ეტყობათ წამლები არიან.

— მაშ მოიცადონ, ჯერ ქალაქები მაჩვენე.

— დეპეშა ამხანაგო იაკინთე ქუთაისიდან.

— წამიკითხე.

— გარდაიცვალა სოლომონ ზურგიელიძის რძალი, სასწრაფოდ გამოგზავნეთ სამარხი ფული და დელეგაცია.

— რაო? სოლომონ ზურგიელიძის ძალი? უყურე ახლა შენ მაგენს, რას ფიქრობს ეს ხალხი, ძაღლებიც ლიტფონდმა უნდა მარხოს?!

— ძაღლი კი არა, რძალი ამხანაგო იაკინთე.

— ძაღლი ჩააკვდა საფლავში, მაგისტრის ჩვენ არ გვეცალოს.

— მაინც რას მეტყვი?

— სამარხ ფულზე უარი ეთქვას, ხოლო რაც შეეხება დელეგაციას და სიტყვის წარმომტქმელებს, აგერ ჩვენი სარიონზე, მგონი თითონაც ქუთაისელია, ადგილობრივი პირობები კარგად ეცოდინება: ვინაზისტობის დროს საფიჩხიაზე ერთი მკვდარი არ დამარხულა, რომ მაგას სიტყვა არ ეთქვას, საკუთარი ტრიბუნა ჰქონდა თურმე აშენებული სასაფლაოზე... შემდეგი.

— მოსკოვიდან მომართვა, ხარჯთაღრიცხვას და საწარმოო გეგმას გვთხოვენ.

— ვინ არის ის რომ აკაკუნებს?

— მოიცა ენახო (საკლიტულში იჭვრიტება) კრიტიკოსების სექციიდან უნდა იყოს რაკუნზე ეტყობა. შემოუშვა?

— შემოუშვი, შემოუშვი არ დაგაცდიან... შემობრძანდით!

— გამარჯობათ!

— შენ ახლა კაი საქმეზე არ იქნები მოსული.

— ეჰ, ნულარ მკითხავ თუ ძმა ხარ...

— რა მოგივიდა?

— უბედურება!

— მაინც?

— რა და ცოლის ძმა ცხოვრობს ჩემთან და ეს ორი დღეა ცხინკვება აუტყდა.

— ღმერთო მომკალი, რა დაემართა?

— არ ვიცი, მგონი წერეების ბრუნო კატარი უნდა ქონდეს. ჰო და მოსარჩენად ფული მინდა.


— სიცხე ხომ არა აქვს?

— არა, სიცხე არა აქვს.

— მაშ ავადმყოფად არ ჩაითვლება და დაზარებასაც ვერ მიიღებ.

— გარდა მაგისა ჩემ სიდერსაც გაუდგა გვერდში რალაც ჭვლები და იმისთვისაც მინდა ფული.

— ბიჭო რამდენი თქვენ დაგაცხინკვებთ და ჭვალი ვაგიდგებათ, თუ ლიტფონდში ირ-



„ბუროტი“ ბადეში ვერ ეხვევა, ვერც გაეხვევა, უმიზნო რჩება განწირული თავ-პირის მტვრევა.

ბინეთ ფულებისათვის, არ ააშენებთ ამ ჩვენ ლიტფონდს?

— მაშ ფული არ იქნება?

— არა.

— გამომართვი ეს (აწვდის ჯაყვას).

— რა არის ეგ?

— შენი ხელით დამკალი და ესაა...

(კარი იხურება და ისევ იღება)

— შენ რაღა გინდა?

— პრემირებული დრამატურგი ვარ.

— სასიამოვნოა! მერე ჩემგან რაღა გინდა?

— ფული კაცო...

— რაში?

— პრემირებული ვარ და მიტომ კაცო...

— ახალი ჭირო, ძმაო, თუ პრემირებული ხარ, ალბათ ფულიც მოგცეს და კიდევ შე

მთხოვ?

— ფულის გარდა კაცო, ბინა მინდა, კიდეც ოთახის მოწყობილობა.

— სხვა კიდევ რა გაკლია? ბარემ მთლად დაგასახლებ, ცოლს შეგერთავ.

— ცოლი მყავდა...

— შენ ვინ ხარ? რა არის ეს? შემოქმედებით მივლინებაში მიდიხარ? სად მიდიხარ?

— მთელი ქვეყნიერება უნდა შემოვიარო: აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია, სამტრედია, საჯავახო, ოჩხამური, კელასური, ხონი და ოდიში.

— რაზე მიდიხარ მაინც?

— ტიპებს ვეძებ ჩემი ახალი რომანისათვის

— დიდებული საქმეა, ხომ იცი, შენ! თუ ასეთ სერიოზულ საქმეზე მიდიხარ, რა გაეწყობა, ფული უნდა მოგცე, მაგრამ ერთი დავალება უნდა შემისრულო.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ორი იყოს.

— ერთი ისეთი ახალი ადამიანი მოძებნო იქნება, რომელიც ლიტფონდში ფულისათვის არ მოვიდეს.

— ძნელი დავალებაა, მაგრამ შევეცდები. მაშ ფულს მომცემ?

— ბიჭო, ფული ახლა რომ არ გვაქვს საიდან მოგცე?

— არ გამომპრა ყელი იაკინთე!

— მაშ იცი რა გითხრა? ლიტფონდს ვაქსის ქარხანა ჰქონდა, ძველმა ხელმძღვანელობამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ვაქსი ბლომად დარჩა... აქ მწერენ 500 მანეთი მიეცეო... მოგცემ ხუთას მანეთის ვაქს და ხომ სოფელ-სოფელ უნდა იარო. ადგები შე კაცო, მოგებითაც მოიგებ და თან სოფელში კულტურას შეიტან. ვალიკო, გამოუწერე ფაქტურა...

— ?!?

ლონ-კიხოტი და გუგული



დღევანდელი „პოლხალიმი“
თუ იმისი მლიქვნელობა
თუმცა სულ სხვა მოვლენაა,
სხვა საგანი, სხვა ხელობა,
მაგრამ მაინც წინაპრულად
მასაც ჰქონდა ძველი სახე
და მკითხველმაც მაპატიოს,
თუ კალამიც მას შეევახე.

ძველად ერთერთ გარნიზონში
იყო ერთი გენერალი
და უამრავ ცხოველებთან
ჰყავდა ერთიც მას მამალი.
და გენერლის მძღველ რიხით,
მისებრ ფეხებდუზიანი,
დადიოდა ესეც დინჯად
იმაყი და ქეზიანი.
და მეზობლად გენერლისა
კი ცხოვრობდა პორუჩიკი,
ორ სადგისად ჰქონდა იმას
ულვაშები განაბზიკი.
მას „დენშიკი“ ვანკაც ჰყავდა
მომვლელად თუ მოინალად,
პორუჩიკი მას თან ყვლეფდა,
თანაც სცემდა შეუბრალოდ.
ერთი ქოჩორა ქათამიც
გაშვებული კარზე ჰყავდა,
და ჯიბეში როს ფულს გრძნობდა,
ცხადი არის, არც მას კლავდა.
კარ-მიდამოს დამამშვენი,
თავს ქათამიც ლალად გრძნობდა —
რადგან მასთან თვით გენერლის
მამლაყინწა აშიკობდა.

ერთ დღეს — ვანკამ — პორუჩიკმა
თავის „დენშიკს“ დაუძახა
და სადილად გამზადება
ქათმის გეგმად დაუსახა:
პორუჩიკი რომ წავიდა,
ვანკამ საქმეს მიჰყო ხელი:
დანას პირი მოუმახევა,
დასდგა ქვაბით წყალი ცხელი,
და ეზოში როცა ქათმის
დასაჭერად გამოშავდა
დაინახა რომ გენერლის
მამლაყინწა ქათამს სცავდა.
„ბრძოლის“ გეგმა აერია,
შეკრთა, მიი-მოიხედა,
მაგრამ მაინც მან დაჭერა
იმ ქათმისა ვერ გაბედა.
დანით ხელში შორი-ახლოს
ასე იდგა დიდხანს... დიდხანს:
ხან დაჯდება, ხან იჩიქებს,
ხან დგება და კეფას იფხანს...
ერთი სიტყვით, ვერა ხერხით
მან ქათამს ვერ დაუხელა,
რომ ჰა, ამ დროს სადილისთვის
პორუჩიკმაც მოახველა:
— აბა, ვანკა, სუბი ჩქარა! —
იმან დენშიკს მოაძახა.
ვანკა კი სდგას... შიშისაგან,
გაშრა ნერწყვი, გაშრა ხახა...
— რას სდექ, ვირო! სუბი მალე!
სადილი ხომ დაამზადე?
— ვერა, თქვენო კეთილობავ!
რაოდენიც არ ვეცადე.

ის სატურე ვერ მოვთოკი,
ვერც გავიგდე სადმე ვანზე...
— რა?! — და მისდგა პორუჩიკიც
მის წინ მჯილის ვასაქანზე.
— აკი ვბრძანე, რომ დაგეკლა
სადილისთვის ის ქათამი!..
შენ კი... შენ რას აკეთებდი...
აეზაკი, ბრიყვი, ქამი!
რათ არ დაჰკალ, ქათმის ხორცი
ნუ თუ ჩემთვის დაგენანა?!
— არა, თქვენო კეთილობავ,
აი, წყალი აი, დანა.
შხოლოდ... შხოლოდ, როცა ქათამს
მივეღირე დასაჭერათ,
ველარაფერს ველარ გაეხდი,
ნუთუ... ნუთუ ეს არ გჯერათ?..
— რბთა, ბრიყვო, მერე რათა,
მითხარი და მოსჭერ მალე.
— ვერა, თქვენო კეთილობავ,
რაოდენიც არ ვეწვალე.
ქათამი რომ დამეჭირა,
გულს სურდა და თანც შიშს გრძნობდა,
რადგან მასთან გენერლის
მამლაყინწა არშიყობდა...
მოუწონა „პორუჩიკმა“
„დენშიკ“ ვანკას აზრი-ქცევა,
და ასანთი ამოილო
პაპიროსის მოსაწეველ...
ახიც არის მსგავს მომენტში
რალა სჯობნის ასეთ წამალს,
იმისათვის, ვინც მლიქვნელურად
ქედს უხრის გენერლის მამალს.



მ. ლებეშვილი

უფროსი ვირთხა: თავისუფლად იმოქმედეთ ბიჭებო, გაღვიძების ნუ გეშინიათ. როგორც ეტყობა, ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომისიის წევრის ოჯახში მოვხვდით...

უმეხვედრა

თბილისის სადგურში ჩემს კარგ მეგობარს ვანოს შევხვდი.

— ოჰ, ჩემს ვანოს... საით ვანო?

— ბათუმისკენ. საქმეზე მივალ. ხვალ საღამოს ისევ დავბრუნდები. შენ საით?

— მეც ერთი დღით ქუთაისში მივდივარ. კარგია, ერთად ვიმგზავრებთ.

ორთავენი მატარებელში ჩავჯექით და ტბილ მასლაათში გართული უკვე მივქროდით. მასლაათის შემდეგ ვახშობას შევუდექით, დავნაყრდით, ძველი ამბებიც გავიხსენეთ და კარგად მოთენებული არ იყო, რომ რიონის სადგურს მივადექით.

— აბა, მშვიდობით, ჩემო ვანო! ძლიერ ვწუხვარ, რომ ასე მალე გშორდები, თორემ კიდევ ბევრს ვილაპარაკებდით.

— არა უშავს რა — მითხრა მან — საღამოს შენც ხომ ბრუნდები და ეს მატარებელიც აქ იქნება ადრინადად, სწორედ ამას გამოყვები.

— ძალიან კარგი აზრია, ქუთაისიდან სწორედ ამ მატარებელს გამოვყვები და კარგად როცა გავატაროთ.

* * *

ძილში ზარის ხმა შემომესმა. გამომეღვიძა.

— ამხანაგო, ქუთაისში ვართ? — ვეკითხები მეზავრს.

— რას ბოდავ?! ქუთაისში კი არა, რიონში ვართ. საათს დავხედე ნაშუადღევის 3 საათია. გული შემიღონდა და ისევ მივწეკი. ორი საათის შემდეგ ისევ გამოვიღვიძე. მესმის სადგურის მორივის ბრძანება:

— ეი, ბურძღლაძე. გადიეყვანე ეს ქუთაისის პოეზი ტრეტი პუტში, აქანე ბათუმის პრიობიტორე იქნება და ის უნდა მივიღო. დაანაზათე მალე.

— სიჩას.— გაიხმა ხმა და ჩვენი მატარებელი ერთხანს აგორეს იქით-აქეთ, ბოლოს, სადღაც მიგვაყენეს. ნახევარი საათის შემდეგ ბათუმის მატარებელი ჩამოდგა.

— ოო. გიგო შენც აქა ხარ? აი ყოჩაღ, როგორ კარგად შეასრულე სიტყვა და დამხედლი მოიარე ქუთაისი? ვადმოჯექი, რას უყუარებ? შენთვის ადგილიც კი შევიანახე.— მოაყარა კიბეები ფანჯრიდან თავვადმოყოფილმა წუხანდელმა მეგობარმა ვანომ.

— ეჰ, რა ბედნიერი ხარ ჩემო ვანო. შენ ბათუმში მოგივლია კიდევ და მე კი ჯერ აქ ვარ, ვერ ვიხილე ქუთაისი.

— რაო? როგორ, შენ!... — და მეტის თქმა ველარ მოასწრო ჩემმა მეგობარმა, რომ ბათუმის მატარებელი წავიდა. მე კი დამეფებულნი ვდგავარ რიონში და დაუსრულებლად ვამთქნარებ.

დონ-პედრო



ჩივი, მეზობლის ძღვებო!




ზოგი ახირებული მკითხველი დავას დამიწყებს იმის შესახებ, თითქო მილიციის ორგანოების მიერ დასჯილი კაცი ყოველთვის დამნაშავე იყოს.

ამ შემცდარი აზრის გასაბათილებლად ერთი უცნაური შემთხვევის შესახებ ვიამბობთ: ჩემს მეზობლად ცხოვრობს ერთი თორმეტობედი წლის ბიჭიკო — ტიტე. ჰქვიანი ბავშვია ტიტეკო, დაკვირვებული. ამ ბავშვის დედა სტანანოველი მუშა ქალია; საუცხოვოდ უყვლის ტიტეკოს, არაფერს აკლებს. ტიტეკოს ბიოგრაფიის ის ნაწილი კი, სადაც მამის შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი, საიდუმლოებით არის მოცული. არც ერთმა მეზობელმა არ იცის, ვინ იყო ტიტეკოს მამა, ან სად იმყოფება ამჟამად.

ერთხელ, ერთი დაინტერესებული მეზობელთაგანი შეეკითხა ტიტეკოს: მამა თუ გყავდაო.

ტიტეკომ უბრალო პასუხი გასცა: — მამ როგორ დავიბადებოდი?! და საიდუმლო კვლავ საიდუმლოდ დარჩა.



გუშინწინ სამსახურში მავიანდებოდა და აჩქარებული ნაბიჯით მივდიოდი. ქუჩაში ტიტეკოს წამოვეწყე, ბავშვს კალათი ეკავა ხელში, ბაზარში მიდიოდა სურსათის საყიდლად. მომესალმა ტიტეკო, გაიღიმა და ერთად გავუდექით გზას.

— ძია, რა ღირს ბადრიჯანი? — ჰკითხა ტიტეკომ.

— არ ვიცი, მე ბადრიჯანს არ ვყიდი. ტიტეკოს სახე აუწითლდა.

— არა, ვიცი რომ არ ჰყიდით, ხომ ყიდულობთ ხოლმე? ფასი გეცოდინებათ...

ამ საუბრის დროს ჩვენ წინ რომ ცილინდრიანი კაცი მიდიოდა ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და თან საფულე ამოუვარდა. ვერ გაიგო უცნობმა საფულის დაკარგვა, მშვიდად ჩაიდო უკანვე ცხვირსახოცი და ფეხს აუჩქარა. ტიტეკომ საფულეს დასტაცა ხელი და ცილინდრიანს გამოეკიდა.

— მოქალაქე! — ერთხელ დაუძახა ტიტეკომ.

— ამხანაგო! — მეორედ მიადახა ტიტემ.

— ძია! — მესამედ დაუყვირა ბავშვმა, ცილინდროსანმა ვერ გაიგონა.

ტიტემ სხვა გამოსარჩევი ნიშანი რომ ვერ ნახა — ხმამაღლა დაიყვირა:

— ცილინდო, საფულე დაგეკარგათ!..

ახლა კი იკადრა ცილინდროსანმა გაჩერება. უკან შემოტრიალდა, სახე დაექმუნა სიბრაზისაგან. ტიტეკოს ხელი გაუწოდა საფულეს გამოსართმევად და შეუღრიალა:

— ძაღლისშვილო, ვინ არის შენი ცილინდრი!

— რას მერჩით ძია, მლანძღავთ კიდევ მადლობის მაგივრად?! — ვერ მოითმინა ტიტემ.

— ჰაიტ, შე მამაძაღლო, იწყინე კიდევ? მაგრამ ტიტეკომ გადააჭარბა: ისე ადულდა, რომ კინალამ გადმოვიდა:

— მე მამაძაღლი არ ვარ მოქალაქე, მეორედ არ გაბედოთ თორემ...

— თორემ რა, მემუჭრები კიდევ ძაღლისშვილო? — და ცილინდროსანმა ბავშვის საცემად წაიწია.

აქ უფროსები ჩავერიეთ და ძლივს დავაკავეთ „შეურაცხყოფილი“ ცილინდროსანი.

როგორც წესია, შემთხვევის ადგილას ხალხმა მოიყარა თავი. დადგნენ და დაიწყეს კამათი. ზოგმა რა მოიგონა, ზოგმა რა. ერთნი ტიტეკოს ამტყუნებდნენ, მეორენი ცილინდროსანს. მილიციის თანამშრომელსაც არ გამოპარვია ეს შემთხვევა მხედველობიდან. მოვიდა, ხალხი გაარღვია და წესის მიხედვით პირველად ბავშვს დაუწყო დატუქსვა:

— რას ხულიგნობ ბიჭო...

გაგულისხმებულმა ცილინდროსანმა კვლავ წაიწია ბავშვისაკენ და ახლად „დალოცა“.

— დავბღღენი მაგ ძაღლისშვილს! მილიციელი „დაზარალებულს“ მიუბრუნდა:

— ნუ ილანძღებით მოქალაქე, დანაშაულისათვის ჩვენ მოვსთხოვთ პასუხს, თქვენ კი ნერვებს რად იშლით ტყუილად?!.

ბაკ დამსწრენი ჩავერიეთ და აყალ-მაყალის ავტორები მილიციის განყოფილებაში წავიყვანეთ.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა მილიციის მორიგე თანამშრომელმა ბავშვს.

— ტინტრავა.

— სახელი?

— ტიტეკო.

— მამის სახელი?

— მათეს ძე.

აქ ცილინდროსანს მოუსვენრობა დაეტყო, ტიტეკოს ახლოდან დაუწყო თვალიერება და თან ჩაფიქრდა, თითქო რაიმის გახსენება უნდაო.

— რატომ ხულიგნობთ ქუჩაში? — შეეკითხა მორიგე აცრემლებულ ტიტეკოს.



ბავშვს ენა დაება. საქმეში ამ მოთხრობის ავტორი ჩაერია და საქმის შინაარსი განმარტა.

— რას ერიოდით ბავშვს მოქალაქე, რატომ აგინებდით?

— ცილინდრი დამიძახა.

— რატომ დაუძახე ცილინდრი, ბავშვო?

— საფულე დაუვარდა, ავიღე, ხან ძია დაუძახე, ხან ამხანაგო, ვერ გაეგონე. ცილინდრი ვუწოდე, გაიგონა, მოვიდა, საფულე გადავეცი და მადლობის მაგივრად მაგინა. — თქვა ტიტემ და ცრემლები მოიწმინდა.



მასწავლებელი: — შეგიძლიათ თუ არა მიჩვენოთ წყნარი ოკეანე?
მოსწავლე: — არ შეიძლება: უკვე აღელვებულია იაპონიის კრეისერებით.


მორიგე მილიციელი წამოდგა და შკაფში ჯარიმის ქვითარის ძებნა დაიწყო.
ცილინდროსანმა დრო იხელთა და ბავშვს ჰკითხა:
— შენ მაშოს შვილი ხარ?
— არა, დედაჩემს ნინო ჰქვია.
— ჰო, მართალია, მაშო მესამეს ერქვა. — ჩაიბუტბუტა ცილინდროსანმა და შეკითხვები განაგრძო:
— ისევ ძნელადის ქუჩაზე ცხოვრობთ?
— არა, პლენანოვის პროსპექტზე გადავედი.
— წინათ ძნელადის ქუჩაზე ვცხოვრობდით... — კვლავ ჩაიბუტბუტა ცილინდროსანმა.
— თქვენი გვარი მოქალაქე? — ჰკითხა ცილინდროსანს მილიციის თანამშრომელმა.
— ტინტრავა.

— სახელი?
— მათე.
აქ ტიტესაც მოუსვენრობა დაეტყო და უცნაურად დაუწყო ყურება. ცილინდროსანს.
— ჯარიმას გაღიხდით. მოქალაქე. — მიმართა მორიგემ ცილინდროსანს.
— ფული რომ არ მაქვს თან?
მაშინ ტიტეკომ იკრა ჯიბეში ხელი, ფული ამოიღო და „შეურაცხყოფილის“ მაგიერ გადაიხადა.
— თქვენ რატომ იხდით, ბავშვო?
— არა უშავს რა, მე გადავუხდი, უცხო ხომ არ არის, რა უშავს!
გაკვირვებულმა მორიგემ ფული გამოართვა ბავშვს და ჯარიმის ქვითარი მოუხია.
ცილინდროსანმა ურცხვად დაიწყო სტვენა და გარეთ გავიდა.

ჩვენც გავუდექით გზას და თავში კვიპატმა აზრმა გამიელვა:
რატომ დააჯარიმეს ცილინდროსანი?... განა სტყუოდა, როცა საკუთარ შვილს ძალღისშვილი უწოდა?!.
განშორებრს წინ ტიტეკომ შემომჩივლა:
— რატომ ვკარგავდი ტყუილად ფულს, არ ვიცოდი, რომ მამაძალი ვიყავი?!.
იმეამად არც მე და არც ტიტეკან არ გავცინებია.
და მოთხრობის დასასრულს მინდა, ჩემი მეზობლების ნამდვილ ოთხფეხა ძაღლებთან ბოლიში მოვიხადო: ისინი საკუთარ შვილებზე ზრუნავენ, ჰპატრონობენ, ასე არ ეპყრობიან...

გ. ივანიშვილი

განუჩეველად პიროვნებათა



(შოქმედება სწარმოებს კომკავშირის ერთერთ კრებაზე ტრიბუნაზე კ. კავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. რიხაძე).

რიხაძე: — ამხანაგებო! ჩვენს კრებას ვახსნილად ვაცხადებ... ამხანაგებო. ბოროტი ხმები ამბობენ, თითქოს ჩვენს კომკავშირის ორგანიზაციებში სალი კრიტიკა არ არსებობდეს. თითქოს ძმაბიჭობით, მლიქვნელობით, თავისი ხალხის შემოკრებით და სხვა ასეთებით დაავადებული იყოს ჩვენი ორგანიზაციები...

ამხანაგებო! დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ დროა ერთხელ და სამუდამოდ მახვილი ჩავსცეთ და ამოვბუგოთ ძირფესვიანად ასეთი ხმები. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი იქნება ეს ტრიბუნა, სადაც თქვენ სანიმუშო წარმომადგენლები ჩვენი საამაყო კომკავშირის ორგანიზაციებისა, გამოსთქვამთ თქვენს ავტორიტეტულ აზრებს, გააკრავთ კრიტიკის მახვილს ყველას განურჩევლად პიროვნებისა... სრული დარწმუნებული ვართ თქვენი საქმიანი კრიტიკის ქარცეცხლი, ამჩქეფარებული აქ საშუალებას მოგვცემს გამოვიცნოთ ხალხის მტრები და არ დავინდოთ არავინ, გამოვიცნოთ ჩვენი საკუთარი შეცდომები და შევატრიალოთ კენი ცხოვრების სარბიელზე...

მე ვათავებ ამხანაგებო, თქვენ იცით და თქვენმა მჭევრმეტყველობამ (ჩამოდის ტრიბუნიდან).

ნრიკაძე: — ამხანაგებო! დროა, რომ ვსთქვათ, დროა რომ კრიტიკა მართლაც უმწვერვალეს მწვერვალამდე ავიყვანოთ... აბა ვის აქვს უფლება დღეს ჩვენს კრიტიკას გზა შეუღობოს? მოვსაბობთ, გავანადგურებთ და აღვევით მას დედამიწის პირიდან, როგორც კლასს, ჩვენდამი მტრულად განწყობილს...

მე ვიტყვოდი ამხანაგებო, ჩვენი კომორგის ამხ. ბუცხრიკიძის მიმართ და დღე მან თითონ აღიაროს აქ თუ მე ვსტყუი... და გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება, კომკავშირელებს, დავფაროთ ეს?.. აქ ბევრი ამხანაგი დამემოწმება, რომ ალღოიან ხელმძღვანელობის საფუძველზე შევსძელით უდიდესი გამარჯვებების მიღწევა... ეს ჯერ არანახული უმწვერვალესი მიღწევები... მგონი რეგლამენტი გამითავდა ამხანაგებო, მე ვათავებ (ჩამოდის ტრიბუნიდან).

ბუცხრიკიძე (კომორგი მორცხვად): — ჩემზე არ ღირდა ამხანაგებო, მხოლოდ სხვამ რაც უნდა ისა სთქვას და მე კი პატივცემული კრების წინაშე ამ ტრიბუნიდან პირდაპირ ვიტყვი: დღე გაიფოს ყველამ, რომ საქმიანი კრიტიკა ეს სამჭედლოა, სადაც გამოიჭედებიან, გამოიწვრონებიან, გამოიბძმენებიან და გამოსაკლდევლებიან ენტუზიაზმით აღსავსე მჩქეფარე მუშაკები... დღე, თქვენც იცოდეთ ამხანაგებო, რომ თუ მე რაიმე გავაკეთე, ამას უდიდესად უნდა ვუმაღლოდე კ. კავშირის კომიტეტის მდივანს ამხ. რიხაძეს და ამხ. შტრინკაშვილს. მაგათგან მე, ამხანაგებო, ბევრი რამ ვისწავლე და მოგიწოდებთ, რომ კიდევ ბევრი რამ ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ. (ჩამოდის ტრიბუნიდან).

შტრინკაშვილი: — ამხანაგებო, აქ გამოსული ყველა ამხანაგი შემეხენ მეც, თუმცა ამის ღირსი არ ვიყავი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სხვა მხრივ უნდა მიგვემართა ჩვენი კრიტიკის დაუნდობელი ქარიშხალი... აბა მე საიდან შემიძლია დავმალო და პირდაპირ არ ვაღიარო აქ სრული ასპროცენტული სიმართლით, რომ თუ მე ცოტაოდენი წვლილი შევიტანე სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი კომიტეტის მდივნის ამხ. რიხაძის ნამდვილი მეგობრული, ამხანაგური, გულწრფელი დახმარებით... მან მე აღმზარდა, მან ჩაპბერა ჩემში ცეცხლი და გრიგალი... ჩემი გულწრფელი მადლობა ჩვენ საყვარელ რიხაძეს (ჩამოდის ტრიბუნიდან).

რიხაძე: — ამხანაგებო! ვაჯამებ დღევანდელ კრების მიღწევებს... ჩვენ სავსებით აშკარად შევეხეთ პიროვნებებს, პირდაპირ მოვიხსენიეთ მათი გვარებიც, დავაკონკრეტეთ ჩვენი დებულებები...


დღე, აწი გაბედონ კიდევ ჩვენზე უხერხემლო ცილისწამება... მე ვფიქრობ, ამხანაგებო, დღევანდელი დღე ჩვენი კომკავშირის ისტორიაში აღიბეჭდება მობრუნების დღით... მოგიწოდებთ ამხანაგებო, რომ დაბრუნდებით სამუშაოზე არასდროს არ შეანელოთ კრიტიკის ქარცეცხლი განურჩევლად პიროვნებისა და ერთგულ გუშაგებად იდგეთ ჩვენ სოციალისტურ ფრონტზე. კრებას დახურულად ვაცხადებ.

განსახგამოსანა

კუჭანის ხანა

თბილისი

განსახგამოსანა



კუთაღა ქუთაისი

განათლების სახალხო კომისარიატი

ზემოთ მოთავსებული კონვერტი, რომელიც განსახკომის „დამკვერელი“ მუშაკების შემოქმედების ნიმუშს წარმოადგენს, საჩუქრად გამოუგზავნეს „ნიანგს“ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს.

განსახკომის ეს თანამშრომელი, რომელიც გამოიცნობს ამ უთავო ხელით დაწერილ მისამართს თავს ან ზოლოს, საჩუქრად მიიღებს „ნიანგის“ ამ ნომერს.

წყაული.

მოგზაურობა საირმეში



— სად გტკივთ? აქა? არ გტკივთ! არც ახლა? ახლა?—მეკითხებოდა პატივცემული ექიმი უროლოგი და თან ზურგის ქვემოთ წელებზე ხელს მაჭერდა. როცა აღარ მეტკინა, უროლოგმა უროს სიმძიმით ჩამარტყა მუშტი:

— არც ახლა გტკინათ?
— ვაი, ვაი!—გაისმა ავადმყოფის (ესე იგი ჩემი) ყვირილი. პატივცემულმა უროლოგმა ურო (მუშტი) შეაჩერა და სათვალეები ჩამოიღო.

— თირკმელი გტკივებიათ.—დაჯერებით სთქვა მან.—ეგ არაფერია, ან ოპერაცია დაგჭირდებათ, ან საირმეს წყალი. ღვინოს სვამთ?

— დიახ, შიგადაშიგ...
— რამდენს სვამთ კამპანიაში?
— არ ვიცი... თამადაზეა დამოკიდებული.. ის თუ კარგად სვამს, მეც მიყვები...
— სმაზე ზელი უნდა აიღოთ. თუ ოპერაციის გეშინიათ, საირმეში წადით.

დავუჯერე პატივცემულ ექიმს და ქუთაისის ბილეთი ავიღე. მარშრუტი ასეთია: სამსახურის ადგილი — ბინა-ტრამვაი-სადგური-ქუთაისი-ბაღდათი-საირმე.

ისე სწრაფად შევერდი ვაგონში, რომ გასტროლოგმა ჯიბეებში პორტსიგარისა და ჯიბის დანის მეტის ამოღებულ ველარ მოასწრეს. ფული გადამიჩრა. ეს კი მთავარი იყო.

რიონის სადგურზე ოთხიოდე საათი ვუცადე მატარებელს და დილის ათი საათისათვის უკვე ქუთაისის საქტრანსის კანტორასთან ვიდექი.

დილის გაჭირვებით გავარღვიე ხალხი და ტრანსის კანტორის გამგეს ვეახელ.

— ერთი ბილეთი ბაღდათამდე!
— რის ბილეთი, ამხანაგო? — მრისხანედ შემეკითხა ტრანსის გამგე.
— ბაღდათის... მე, როგორც თირკმელებით დაავადებულს... საირმე მირჩიეს...
— მერე ავტოტრანსი რა შუაშია? ჩვენ აქ თირკმელებს არ ვწამლობთ, ეს ავტომობილების კანტორაა.

— მეც მაგას მოგახსენებთ, — მე, — საქმეც ისაა, რომ სწორად ავტომანქანა მინდა ბაღდათში მისასვლელად... მე, როგორც თირკმელებს დასწავლულს...

— ნუ შეგვაწუხებთ თქვენი თირკმელებით. ხომ ხედავთ, დრო არა მაქვს.

— კი მაგრამ, მანქანები ხომ დადიან ბაღდათამდე? გამგემ ირონიულად გაიღიმა.

— მერე, მერე?
— ჰო და, მე მინდა ბილეთი.
— ბილეთში აპირებთ ჩაჯდომას?
— ბილეთში კი არა, მანქანაში, ავტოში...
— მერე სად არის ავტო?
— ავტო თქვენ გყავთ, როგორც ავტოტრანსს...
— შეცდომაში შესულხართ ამხანაგო თირკმელაძე!
— უკაცრავად, მე თირკმელაძე არ ვახლავართ, მე თირკმელები მტკივა მხოლოდ, აი, უროლოგს ჰკითხეთ...

— ერთი სიტყვით, ნუ გვაცდენთ, მანქანა არ არის.—მომიჭრა ტრანსის გამგემ.

— არ მუშაობს? არც ერთი არ დადის?
— დადის, მაგრამ ვერ გეტყვით როდის მოვა, საიდან მოვა, როგორ მოვა, სად წავა და როდის წავა... ხომ გესმით?

— ეგ მესმის, მაგრამ ფეხით ხომ არ წავალ ბაღდათში?
— რატომ? ჩვენ არ ვიშლით, თუ გინდ დედამიწის გარშემო იმოგზაურებთ ფეხით.

— კი, მაგრამ, როგორც თირკმელებს დასწავლულს... გამგემ აღარ დამაცალა დამთავრება. ფანჯარა ჩაჰკეტა და მე და თირკმელები სახტად დავრჩით.

დავრჩით, მაგრამ ვენაცვალე ალიოშა ანთიძეს, რომელიც ბაღდათიდან ჩამოსულიყო სატვირთო მანქანით. სრულიად შემთხვევით ავტოტრანსთან დააყენა თავისი მანქანა და ბაღდათში წამსვლელთ მოუწოდა.

— გენაცვალე ხალტურავ! — სიხარულით გავიფიქრეთ ყველამ და მანქანისაკენ გავიქეცით...

აღლარ-აღლარხანი.

პარკიში სროლაში

„დანდალოს (ქედა) სავაჭრო წერტის გამყიდველი მთელ დღეს თავგების მოგერიებას ანდომებს“.

ნახ. დონისა.



გამყიდველი: — სროლაში რეკორდი დავამყარე, 50 შესაძლებლობიდან დავაგროვე 49 თავგი.

ოკი საკბილო

ერთად ხვნივ

თბილისის კულტ. და დასვენების ცენტრალური პარკის (ყ. მუშტიდის) ბუფეტში მომხმარებლებმა შეამოწმეს მოტანილ ნაყინის რაოდენობა და აღმოჩნდა, რომ თვითეულ კერძზე 50 გრამზე მეტი იყო მწონავისაგან მოპარული. ვერც საჩივრის წიგნაკი და ვერც ბუფეტის გამგე — ბახტაძე პარკში ვერ აღმოაჩინეს.

წყნელი.

კულტურის პარკის ბუფეტში ერთად ხვნივ, ერთად ბარავენ: — მოთხოვნილ ას გრამ ნაყინზე ორმოცდაათ გრამს პარავენ.

ახალი სიმღერა


ძირულის რაიონულმა პოეტმა ოჩიპანტე რიონვესელმა კოლმეურნეობა „იმედის“ თავმჯდომარის ლადიკო გველესიანის შესახებ მონაგარიშის არქივში ასეთი ლექსი აღმოაჩინა:

დილით არაყს შეეჭეცევა,
საღამოთი ღვინოს —
ისე ხმას არ ამოიღებს,
რომ არ შეიგინოს.

ძირულები ვიო.

ნახ. ღონისა.

აბანოში არ შეუშვეს ანტიპო და ივანე... საბონთან ერთად... რატომ არ მოიტანეთ.



„აგსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა...“ ბულალტერი ჯერ გაჩხუბებს, მერე მოგცემს კუთვნილ ფულსა.

„კულტმუშაობა გაშალა“ ადგილკომმა ჩვენმა ზინამ — კედლის გაზეთის ჩარჩოზე წამოწვა და დაიძინა.

ბებიაშენი ცხონდაო, ელექტროფონი ჰქონდაო, უფელდღე ნემსებს ეძებდა და ვერსად შოულობდაო.

სოჯლად დებემა ვავგზავნეთ: „მანქანა გადის ხვალაო — ტეო ეგრაფს კი გადაეცა: მაშკო გარდიცვალაო.

ყარაგოლა.

— კაცო, ეს რა დავიწერია?! თვრამეტმოქმედებიან პიესას რომელი თეატრი დადგამს! დრამატურბი: — რას იზამ, ძმაო, შარშან ოთხმოქმედებიანი დავწერე და რეჟისორმა ისე შეამოკლა, რომ ნახევარი მოქმედებაც აღარ დარჩა! ეს თვრამეტიანი კი თუთხმეტი-თაც რომ შეამოკლონ, ჰ მოქმედება ნაღდად დარჩება.

თბილვაჭრობა

„თბილვაჭრობის“ მალაზია პირველი“... „თბილვაჭრობის“ მალაზია მეორე“... მესამეშიც შევედი, ვით მყიდველი, „თბილვაჭრობა“ — იქაც გავიმეორე.

ახ, რამდენი მალაზია ჰქონია „თბილვაჭრობას“ ამ ქალაქში ყველგანა... ალტაცებას ვერთვი, ასე მგონია, ჩემი არის მალლა ცა, ძირს ქვეყანა...

შეველ ერთში. ივლისია და ჰავის ცხელი ბული ისე მეცა სახეში, რომ ვსთქვი გულში: „თბილვაჭრობა, სჩანს, ყვავის“... ერთი სიტყვით, მოვხვდი ცეცხლის მახეში...

ხალხი მაინც ფუსფუსებდა დახლთანა... მე ნოქრები მეცოდება, თორემა ეს ბული რას გააწყობს ამ ხალხთანა! მე შენ ვეტყვი, შეჭკრას გზის სიშორემა!..

და ჰა, ნოქარს მეც თბილად შევეკითხე: „თბილვაჭრობავ, ჩულქი გაქვს ან წინდები?...“ ის კი უხმოდ, უმოქმედოდ დგას, ვით ხე, შენც ამ მუნჯთან, მოდი, ნუ შეშინდები.

ან კი რა სთქვას? თქმისთვის სადღა სცალია, როცა ეძებს თვალთ ნაცნობს მუშტრებში, წინდა, ჩულქი მისთვის ვადუმალია, ის არ სჩანს და ჩარჩა კაციც ფიქრებში...

შენც ფიქრში მყოფს, რა თქმა უნდა, შორღები ცივად, რადგან ცივად შეგზვდა იგიცა,

აწ მის წინ კვლავ ხომ არ განმეორდები? წყალს და მეწყერს მისი წინდაც, ჩულქიცა...

და უკან თუ მიიხედავ ყასიდად გულმოსული, წამოსულიც კარისკენ, ნახავ კაცს, რომ მიჰქრის ჩეკით „ყასიდან“ და ჩულქებიც რომ გადმოდის ამისკენ.

და შენც ჰფიქრობ: „ნეტა, მე რა შევცოდე, რომ კითხვაზე პასუხიც არ მაღირსა. იმ კაცს რა ანდამატი აქვს, ვიცოდე“. მტანჯავს კითხვა მის ქცევის სისაღისა.

და მეც გულში წაუყენე ბრალდება ნოქარს, ჩულქის დამალვაში დაჭირულს, თან მაფიქრებს „ამით რა დაბრალდება“ გასასვლელში უადგილოდ გახირულს:

რის დამალვა? საქონელი გაჰყიდა, სალაროში ანგარიში „სწორია“. რა ეუყოთ, რომ ის მან შენ აგარიდა და ირჩია სხვისი ტერიტორია?!

იმ მეორეს ჰქვია გადამყიდველი, გაშყიდველის უმცროსი ძმაც იგია, და ყიდვაშიც შენთან მუდამ პირველი, და მიმსწრებიც, ვით წესი და რიგია...

ხედავ, ძმას ძმაც თბილად ვით ჩაეკონა. აბრაზეც ხომ „თბილვაჭრობა“ სწერია... მაშ, ეგ სითბო აქ ივლისის გეგონა?! შენგან მიკვირს, ეგ რა დასაჯერია?..

ზიპო.

ქუჩის ხმა


„გერმანელი ფაშისტების „რასობრივი თეორიის“ მიხედვით „უმალესი რასის დამახასიათებელი თვისება არის: გრძელი თავი, ცისფერი თვალები და ქერა თმა, რისთვისაც თმის შეღებვა ჩვეულებად იქცა გერმანიაში. მაგრამ „არიელობის“ ამ თვისებებს ვერ აკმაყოფილებენ გერმანელი ფაშისტების ზოგიერთი ხელმძღვანელები, მათ შორის — ჰიტლერიც“.

... და ლექცია აი ასე დაამთავრა პროფესორმა: „ქეშმარიტი გერმანელის“ ასეთია ზუსტი ნორმა:

უცილობლად ამ ნაირი უნდა იყოს არიელი: გრძელი, ანდა მოგრძო თავი, თუნდაც იყოს ცარიელი.

მნიშვნელობა არ აქვს იმას, არის რაზე შიგ თუ არა. ოღონდ იყოს გრძელი თავი — და ჩვენთვის კი ესეც კმარა.

თმა კი — ქერა, ესე იგი, უნდა იყოს თეთრგვრემანი. (დაიხსომეთ — გერმანელი არ იქნება შავგვრემანი).



თვალები კი უნდა ჰქონდეს ქროლა, ჭრელი ან ცისფერი. აი, ხედავთ როგორ უნდა გამოიყოს ჩვენი ერი.

მაშ გახსოვდეთ: გრძელი თავი, ქერა თმა და ქროლა თვალი, — და ასეთი ვინც არ არის, ვაი მათი ზურგის ბრალი.

დაამთავრა პროფესორმა ლექცია და საუბარი. ფაშისტების ტაშისაგან ზანზარებდა მთა და ბარი.

*) ავსტრალიელი ველურების სასროლი იარაღი, რომელიც აცდენის შემთხვევაში უკან ბრუნდება გამსროლთან.

აი, აგერ მოდის კაცი შეათმინი და შეაწვერა... გამოვარდა ფაშისტი და მას ვეფხვივით დაეძვრა.

შემდეგ სხვებიც მიეშველნენ, წაქციეს კაცი იგი, მისთვის წიხლის ჩასაკრავად გაიმართა მთელი რაგი.

ის აყვირდა: — ვერ მიცანით? მე ვარ თქვენი პროფესორი. ლექცია რომ წაგიკითხეთ, საათია მხოლოდ ორი.

— შენ ის არ ხარ, ჩვენ მას ვიცნობთ და ჩვენ შენი არა გვჯერა. როდის იყო არიელი შავგვრემანი და შავწვერა?


— ყმაწვილებო, თმასა და წვერს მე ვიღებავ ქერა ფერზე. აბანოში ვიყავი და შემეცვალა ფერი წვერზე.

სხვა ქუჩებზეც ამ ლექციის ჰქონდა დიდი გასავალი. თურმე თითონ ზოგ მინისტრს კ მოუთვლეს რბილად ძვალი.

აუხირდნენ: — რად არ გაქვსო ქერა თმა და გრძელი თავი. ალბათ არ ხარ არიელი, რომ თვალები გაქვსო შავი.

— ვერ მიცანით? მინისტრი ვარ, რას მიბედავთ ამას თქვენა? — მაგრამ წიხლი როცა ჩაჰკრეს, ჩაუვარდა კუჭში ენა.

— რას მიჰპარავ! ეს მუქარა სიტყვებია ცარიელი. შეიძლება, რომ მინისტრად გვყავდეს არა-არიელი?



მეორე დღეს როს მინისტრმა დაიბარა პროფესორი. კაბინეტში მარტოდ იჯდა შეხვეული თავი ორი.

ზანგი.

ზავსულის ველურღიებუი

ჩამოცხა... ყველა ნატრულობს ნიავს, ეძებენ ჩრდილებს და გრილ სარდაფებს და ცისქვეშეთში გაურბის ყველა მცხუნვარ მზის სხივთა კონებს და ძაფებს.

ყველა გაურბის სიციხეს და სხივებს, მთის გრილ მწვერვალებს ეტრფის გულია ყველანი... მხოლოდ ბიუროკრატი თბილი ადგილის მოყვარულია.

აღმური ასდის ქუჩებს და სახლებს აწუხებს ყველას ზავსულის ხვარტი, თითქოს ცეცხლი სწვავს ქალაქის ტაფობს, ბაღში გადახმა ზამბახი, ვარდი.

რა შეედრება ახლა ცივ მყინვარს. ყველას ცივ მთებზე სრბოლა სწყურია. სულ ყველას... მაგრამ გამფლანგველი კი თბილი ადგილის მოყვარულია.

ეხლა მწვერვალზე ისე კარგია მზის ამოსვლა და ნიავი გრილი, რომ გრძნობ უსაზღვრო მშვენიერებას, გრძნობ, რომ სიცოცხლით ქრება სიკვდილი.

ყველა აშურებს მთების გრილ კალთებს, გაურბის ქუჩებს მწველს აღმურიანს. ყველანი... მხოლოდ მლიქვნელი, მაგნე თბილი ადგილის მოყვარულია...

სიპიტა.

ბრძოლის
ნიშნები



წვიმიან დღეს, თბილისის სტალინის სახელობის რაიონის ბაზარში (ქრ. დეპარტიკების).

რევიზორები შემოკრბენ...

მატარებლის რევიზორები: უჯმაჯურიძე, კუტუბიძე და წილოსანი განგებ აძლევენ სადგურებს დეპარტიკებს ბილეთების არ გაყიდვის შესახებ, რომ შემდეგ მგზავრები დააჯარიმონ და საკუთარი ჯიბე გაისქელონ. (გაზეთებიდან).

რევიზორები შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა: — ვის მეტი „გამორჩენა“ აქვს, ვის მეტი გამოცდილობა; ვინ უფრო გამოიყენა „რევიზორული გმირობა“; და თქვეს: შემცირდა საკბილო, წაგვიხდა გვარიშვილობა.

უჯმაჯურიძემ წარმოსთქვა, სიტყვა „ბრძნული“ და ფზიანი: — მრავალჯერ „გადვინადირე ქედი მალალი ტყიანი“, გლეხებს დავეცინტლე ჯარიმა, გული ვახარე მზიანი, აწ ვილუბები გამრავლდნენ მგზავრები ბილეთიანი.

კუტუბიძემაც გაშალა ენა მეტრნახევრიანი: — მეც თქვენებურად ვლომობდი თქვენსავით ვიყავ სვიანი. აწ ბილეთს იძენს სადგურზე ყველა: მოყმე და მცხოვანი. და ჩვენი საქმეც წავიდა საყლაპავ-სარგებლოვანი.

აღვილად „ხრიკებს“ ველარ ვდებ, არ მშველის ენა წყლიანი; აწ ჯარიმებო, მშვიდობით, გშორდები თვალცრემლიანი. აქა წამობტა წილოსან, ვაყვაცი ხუჭუჭთმანი; სთქვა: — გმირებს ცრემლი არ შვენი, არც კენესა დაბალხმანი, თქვენი უაზრო „რეჩებით“ საქმისთვის მოგაქვთ ზიანი აწ მომისმინეთ მრჩეველსა, „სპეცი“ ვარ მრავალწლიანი.

ბათუმიდან-თბილისამდე ჩვენ გამოვსცეთ ეს ბრძანება: რომ ბილეთი არ გაყიდონ, არვის მივსცეთ ამის ნება.

უბილეთო მგზავრთა გუნდი მატარებელს მიაწყდება და ჯარიმის პროცენტები ჩვენს ჯიბეში ჩაცოცდება. ესა სთქვა და მელოტ თავზე გადაისვა ნაზად ხელი, კოლეგებმა ტაში დაჰკრეს, დაისველეს ლულით ყელი...

ისევ ყველას აეშალა ფულის შოვნის საღერღელი; „მრავალჯამიერ“ შესძახეს, კრიმანჭულიც ძველისძველი... დანავარდობენ დაჰკრიან მატარებელში გმირები, სადგურებს ცნობებს აძლევენ: — არა გვაქვს ჩვენ ადგილები;

ბილეთები არ გაყიდოთ, თორემ დაგძვრებათ კბილები. ჩვენთან თქვენ ბრძოლა რას გარგებთ, არ შეირცხვინოთ პირები. იშვილს მივმართოთ, ბიჭებო, რომ ბლომად ვაჩნდეს ფულია. რასაც გავქაფავთ ჩვენი, რაც არა დაკარგულია.

რევიზორები შემოკრბენ... ატარტალებენ ენასა, და რკინის ცოცხის მოცხება წამლად ერგებათ ყველასა.

დავითა

პრილოვის პიკეტი

ნიანგის კომენტარებით

„მაჩვი ჰკითხავდა მედიას:
ნათლიავ, საით გარბიო?
მელამ მიუგო: ამიტყდა
სოფელი ცრუ და ხარბიო!

არ მაყენებენ, გამაგდეს,
შემწამეს მექრთამობაო...
ვინ მე და ვინ მაგნაირო
პატიოსნობის გმობაო!

მე საქათმეში მსაჯულად,
შენც იცი, რომ ვიყავიო...
ლამეგატებიც ვშრომობდი,
არ ღამიზოგავს თავიო.

მაგრამ რად გინდა მადლობა,
რა მიძღვნეს? რით მაამესო?
პირაქეთ მომდევს შარები,
ქურდობა შემომწამესო!

მე და ქურდობა?! ეს განა
ჩემს გულწრფელობას შეენისო?
ასე ძნელია აყოლა
ცრუმაბეზლარი ენისო!

აწ შენა გკითხავ, თუ ძმა ხარ,
ხომ კარგადა მცნობ რა ვარო:
ვანა მე ქურდს და მეჭრთამენ
ან ტყვილა რითმე ვგავარო?

მაჩვმა მიუგო: რა ვიცი,
ტყვილად ვერ გემოწმებო:
ბევრჯერ მინახავს მაგ ტურზე
ქათმის ბურტყული და ფრთებიო!“

* *

ჩვენს დროშიც ვხვდებით არა ერთს
ქურდსა და მავნეს, მელასა, —
მოქნილი ენით ღამობენ
თვალი აუბან ყველასა.

მაჩვს რომ მივბაძოთ სუყველამ
ვამხილოთ მართებულად,
მელიების ჯიშს, უდავოდ,
გადავაშენებთ სრულადა.

ნ.ბი.

აქთაღიკითხეთ ნუგები

(კრკადილიდან)

ახალი საკომუნისტრო კინო-სურათის გასინჯვა
დამთავრდა.

ყველანი ღუმდენ და დიდხანს არავის სურდა სა-
კუთარი აზრის გამოხატვა. ბოლოს ერთი მარტოხელი,
ესე იგი უცლოლშვილო კრიტიკოსი წამოდგა:

— არა უშავს... მაგრამ ისე... გრძელია... გრძობ,
თითქოს გრძელია...

— სავსებით მართალია! — დაუდასტურა ერთხმად
ზუთმა კრიტიკოსმა: — გრძობ, რომ გრძელია.

— ეგ არაფერია, — თქვა რეჟისორმა.

— როგორ თუ არაფერია? — შეშფოთდენ კრიტი-
კოსები.

— რასაკვირველია, არაფერია: როდესაც სურათი
წამდვილ მაყურებლამდი, ე. ი. ამ შემთხვევაში კოლ-
მუნისტრებამდი მიეცა, ის ისე გაცვდება, რომ არაფე-
თარი სიგრძე აღარ ღარჩება.

კრიტიკოსებო ღუმდენ. **ვ. ტობოლაკოვი.**

სასადქოოოოოოოოო



კომუნისტრო
კოოოოოოო

კომუნისტრო კოოოოოოო კოოოოოოო
Горькой Кооперативной Обществ. Питания

სასადქოო №
Столовая

სარეზო
ПРЕЙСКУРАНТ

193 წ.

№ რიცხვი	დასახელება Наименование	ფასი Цена
	შქი 2 ნაბუ 2 ჭქო	150
	ზე 2 პავსიხანი	15
	ხი 2 ღო 2 ღო —	210
	პავსიხანი 2 ღო 2 ღო	30
	სი 2 ღო 2 ღო —	30
	ქო 2 ღო 2 ღო —	30
	ხი 2 ღო 2 ღო —	30
	ხი 2 ღო 2 ღო —	50
	ხი 2 ღო 2 ღო —	250
	ხი 2 ღო 2 ღო —	250
	ხი 2 ღო 2 ღო —	250
	ხი 2 ღო 2 ღო —	950
	ხი 2 ღო 2 ღო —	120
	ხი 2 ღო 2 ღო —	70
	ხი 2 ღო 2 ღო —	60
	ხი 2 ღო 2 ღო —	40

აღმოსავლეთი

კოოოოოოოოოო გოოოო უვიცთა შემოსევია ხროვა ველური:
აი, „ხელიხელ საგომანები“ მათი ქართული „რუხთაველური“.



ბორჯომის ერთერთ სანატორიუმის ავადმყოფები და თანამშრომლები გარს შემომხვევოდნენ და შეკითხვებს ხოშაკალივით მაყრიდნენ.

— რა დაგეშართა, კირილე, რა მოგივიდა კაცო! გუშინ კარგად იყავი, დღეს კი სახეზე კაცის ფერი არ გადევს!

— ჰე, ნულარ მეკითხებით, — ისეთი ამბავი შემემთხვა, რომ გიამბოთ, არ დაიჯერებთ. ვერ ხედავთ ვინა ვარ? მე ხომ კირილე აღამიძე აღარა ვარ... ჩემი გვარი კირილე კურდღელაშვილია, ვაიგეთ? კურდღელაშვილის თუ არ გჯერათ, აი დოკუმენტი და წაიკითხეთ. — უბიდან რკინიგზის სამმართველოს ქვითარი ამოვიღე და ჩემს ექიმს ე-ნის ქალს გადავეცი. ექიმმა ქვითარი გამომართვა და ხმამაღლა წაიკითხა:

ქვითარი № 229885. 4 აგვისტო. მოქალაქე აღამიძე ქვიშხეთიდან ბორჯომამდე უბილეთოთ მგზავრობისათვის დაჯარიმებულ იქნას

ახალი გამოგონება

ნახ. ლებეშვიცისა.



ვოლიფანტე თავკახაძის ახლად გამოგონილი აპარატი თბილ. ავტ. ტელეფონის მუშაკების გამოსადგომლად სამუშაო საათებში აპარატთან ჩამოძინების დროს.

14 მანეთით აღამიძე შეტანილ იქნას რკინიგზის კურდღელაშვილის გვარით. უფროსი კონდუქტორი თოფურიძე ამის წაკითხვა და საერთო ხარხარი ერთი იყო.

— მაინც როგორ მოხდა ეს ამბავი? — მეკითხებოდნენ ავადმყოფები და სიცილს ძლივს იკავებდნენ.

— როგორ მოხდა და ასე: — დავიწყე მე, — 4 აგვისტოს, დღის ორ საათზე ქვიშხეთიდან ბორჯომში ვბრუნდებოდი. მე ვიჯექი ბორჯომ-თბილისის მატარებლის ღია ვაგონში. გამცილებელი არსად სჩანდა. მოგეხსენებათ, ქვიშხეთის პლატფორმაზე ბილეთებს არ ყიდნიან. არსებული წესით ბილეთების შექმნა მგზავრებს შეუძლიათ ვაგონშივე მთავარ კონდუქტორისაგან.

ჩემი მატარებელი ქვინით მიადგა სადგურ პატარა დაბას მისვლისთანავე მივაშურე სალაროს, მაგრამ ამოდ... ზოგიერთ სადგურებზე მოლარეები განგებ აგვიანებენ სალაროს გაღებას, რომ თვითონაც საკბილო გაიჩინონ შეშინებულ მგზავრებისაგან ზედმეტი ფასის აღების სახით და მატარებლის რევიზორებსაც საკბილო გაუჩინონ. სალაროსთან დიდი რიგი და ერთი აურზაური იყო და უკანვე გამოვბრუნდი გადავწყვიტე ან მენახა ბილეთის გამყიდავი კონდუქტორი ან გამეწირა 14 მანეთი. მალე ჩემს წინ აჩრდილივით გამოჩნდა ახოვანი გრძელწვერა მოხუცი, რომელიც მგზავრებს ბილეთებს უსინჯავდა. მის დანახვაზე ერთმა მგზავრმა, რომელიც ჩემს გვერდზე იჯდა კანკალი დაიწყო.

— რა დაგეშართა? — ვკითხე მას.

— თბილისიდან მოვდივარ. კაცს ჩემთვის ბილეთი არ მოუთხოვია, რაღა ეხლა გამოჩნდა მაგ ოჯახდაქცეული? უეჭველია დამაჯარიმებს.

— ახია, თუ დაგაჯარიმებს, — გავიფიქრე მე და თეთრწვერას სამი მანეთი გავუწოდე.

— ქვიშხეთიდან მოვდივარ; ვთხოვთ ბილეთი მომცეთ!

თეთრწვერამ მუშტრის თვალით ამხედ-დამხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, კონდუქტორს ეშმაკურად ჩაუცინა.

— აი, ერთი კურდღელიც! — დინჯად წარმოსთქვა მან. ჯიბიდან რაღაც წიგნაკი ამოიღო, — ფურცელზე რაღაც დასწერა, შემდეგ მოხია და გამომიწოდა.

— აიღეთ, მოქალაქე! — ქვითარი არის. თქვენ უბილეთოდ მგზავრობისათვის დაჯარიმებული ხართ 14 მანეთით.

ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. მე უკვე შეურიგდი იმ აზრს, რომ ჩემი გვარი კურდღელაშვილია, მაგრამ ჩემის მხრივ ვეკითხები რკ/გზ. სამმართველოს მუშაკებს: რა გვარი უნდა მივაკუთნოთ ტრანსპორტის იმ უღირს მუშაკებს, რომლებიც ხელოვნურად ჰქმნიან პირობებს მოქალაქეთა უბილეთო მგზავრობისათვის. და რომელთა ასეთ მავნებლურ საქმიანობის შესახებ არა ერთი და ორი ცნობები იბეჭდება ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში?!

ყუმბარა.

მზადდება

„ნიანგის“

სპეციალური

სასკოლო

ნომერი



ვაგონი ხალხითაა გაჭედული. მატარებელი დაიძრა სადგურიდან. ვაგონში შემოდის რევიზორი გაწერელია. ცალ ხელში ფანარი უკავია, მეორეში ღვინით სავსე ბოთლი.

— ბილეთი პრივატოვიტ!.. კამუ ბილეთ ნეტ, დენგი პრივატოვიტ დლია. ჯარიმუ!..—გასძახის რევიზორი.

— რას თხოულობს ეს კაცი, დედაშვილობას?—კითხულობს მგზავრი დედაბერი.

- ბილეთს, დედი.
- ჯარიმა რაღათ ახსენა შვილო?!
- უწესრიგო მგზავრებს აშინებს დედი, თქვენ მშვიდად იყავით, გულს ნუ გაიტეხთ.

გაწერელია რიხით მიაღება დედაბერს:

- ვაშუ ბილეთუ?
- რა გნებავთ დედაშვილობასა?..
- ვაშუ ბილეთუ ტებე პროსიშ... ნი სშლიშიმ?
- პარუსკული არ ვიცი შვილო.
- ნიეტუ? შტრაფ შაპლატიტ ტრი რუბლია!

მგზავრები უხსნიან დედაბერს საქმის შინაარსს. დედაბერი ბილეთს უჩვენებს რევიზორს.

— ა? ესტ... ზა ობმანა ტრი რუბლია ჯარიმუ!—გაჰკივის გაწერელია და გამცილებელ ღონლაძეს მიმართავს:

— თარგმანიუწე პაჟალუსტა, პუსკაი ჯარიმუ შაპლოტიში! ღონლაძე ქართულად უხსნის დედაბერს რევიზორის მრისხანების მიზეზს. დედაბერი იხდის სამ მანეთს. „წესრიგის“ დამყარებელი მგორე მგზავრს მიაღებია:

- ჩტო ვკარზინკუ ესტუ? — კითხულობს რევიზორი.
- ქათამ ესტ, ბატონო!
- ა? კურიცუ? ჯარიმა ტრი რუბლი...
- ზაჩემ ბატონო, კურიცუ ნი ჟივოტ, გაპუტულ ესტ ბატონო, გაკეთებულ ესტ, მონარშულ ესტ ბატონო...
- ვჩერა ხომ ჟივოტბილ ვაშ ქათამ?
- ვჩერა კი ბატონო, ჟივოტ ბილ.

— ზნაჩიტ ჯარიმუ ტრი რუბლი, ჟივოტ ქათამ ვაგონი ვზიატ ნი მოჟნა.

ახლა მესამე მგზავრს მიაღებია „მოწესრიგენი“:

— შტო ვბუტილკუ ესტ?

— ვოდკა, ბატონო.

— ა?. ჟენშინა ვოდკა პიოტ! ონ პიანიცა ესტ. პიანსტვე ჯარიმუ ტრი რუბლი!..

— რა გნებავთ შენ გეთაყვანე, რაზე მიჯავრდებით?!

— ზა პიანსტვე! ზა ჯარიმუ!—ყვირის რევიზორი.

— ნულარ აცდენთ მოქალაქევე, ჯარიმა გადაიხადეთ და გავიშვით... — განმარტავს გამცილებელი.

— რათ მახდევინებთ ვეთაყვა, ერთი ბოთლი არაყი მიმაქვს, ქალი გავათხოვე და იქ მივდივარ.

— ნუ ცრუობ დედი, სავაჭროდ მიხვალ, ქალი თუ ვათხოვე ერთი ბოთლი არაყით ქორწილის გადახდა ვის ვაუგონია?!

— ქორწილი უკვე გადახდადეთ შვილო.

— მაშ ჯარიმაც გადაიხადეთ...

— რატომ შვილო?

— ბეზ რაზგავორა, ზა პიანსტვა ტრი რუბლი, ზა ობმანა იშჩო ტრი რუბლი ი ზატო შტო ვაგონი ქორწილ უსტროილი იშჩო შესტ რუბლი. ვსო დვენაცეთ რუბლი... სკარეი! — ცხარობს რევიზორი

— ქვითარი მოგვეციტ ბატონო!

— ქვითარი!.. ქვითარი!..

— ა? ქვითარი ხატიტე, პაჟალუსტა. კამუ სკოლკო?—და გაწერელია წიგნაკიდან ამოხეულ უბრალო ქაღალდებს ურიგებს მგზავრებს ქვითრების მაგივრად.

— ეს რა არის კაცო?

— ჩვენ ქვითარი გვინდა!..

— ეტა უბრალო ქაღალდი, ბატონო.

— უბრალო ქაღალდი. აშტო ზა ტრი რუბლი სახარების ქაღალდ ხატიტე შტოლი.—ცხადებს რევიზორი და მეორე ვაგონში გადის.

გია.

გულმა გული

ახირებული კაცია ვრ. პანანიდი. კაცი უნდა ხერხი იყოს გაქონდეს და გამოქონდეს და სახელმწიფო ფულები ყველა სახლში შემოქონდესო — ხშირად იტყვის ხოლმე ის. ან კი რატომ არ უნდა თქვას, 1936 წ. „რაიტრანსპორტში“ მუშაობის დროს გაფლანგა ფულები. შერჩა ტყემალივით.

— მოსამართლესაც კი დაუყენე თვალები, მე მიყვარს ღვინო, ღელუკი და ქაღები, ყოველდღე რომ ვართ მივრალეები—განა ვერ ხედავენ, მაგრამ ხაზვი არ დამაჰრან კისერზე. — ტრაბახობს ეს ყმაწვილი. ცოტა პაუზა გააკეთა პანანიდი. ისევ დაუბრუნდა მის ძველ ხელობას და პურის ქარხნის 6.000 მანეთს ულაპი უქნა. ამ ბოლო დროს ხმაც კი დაეწმინდა და ხშირად მღერის მის საყვარელ სიმღერას:


ანიკო ვარ სარიშვილი
კოსტაიეს ქალიშვილი.
გავაკეთე სამი შვილი,
მაინც ქე ვარ ქალიშვილი.

გასაგებია, თუ რატომ მოსწონს გაჰაფავ პანანიდს ზევით მოყვანილი სიმღერა.


საშურელი.

ბაქოს ქ. №6 სახლში წყალი ჩამოდის. რაისაბკოს სახლთა სამმართველო ყურადღებას არ აქცევს.

ნახ. ა. კანდელაკისა.



— უბედურებაა ეს წვიმიანი ამინდი, გარდა იმისა რომ ვსველდებით, სუბის გათავებასაც აღარ ადგება საშველი!



— სად აკრავ მაგ წარწერას, ეგ ხომ წისქვილია!..
— შემეშალა, ყოველთვის დაკეტულია და მე სამკითხველო მეგონა!..

პატივისცემით ს. გელაშვილი

ნ ი ა ნ გ კ ო რ ი წ ა ლ ვ ე რ შ ი

მიყვარს წალვერი. წელსაც ვესტუმრე და შევეუდექი შის დათვალეირებას.

— წელს ბევრი რამ გაკეთებულა წალვერში.

— დიას! ვცდილობთ, რაც შეგვიძლია — მიპასუხა ნაცნობმა. ამ დროს უცებ ფურნის წინ ჩოჩქოლი ატყდა, დავინტერესდი, რაში იყო საქმე.

— არაფერია მეგობარო! დამსვენებელს მეპურესთან უკმაყოფილება მოუვიდა, მეპურემ მთელი პური სახეში ესროლა, დამსვენებელი შემთხვევით გადარჩა, რადგან პური ცომი იყო. სწორედ ამაზე იტყვიან — ზოგი ქირი მარგებელიაო.

— ბაზარი სად გადაუტანიათ?

— აგერ ახლოს, ორ-სამ კილომეტრზე.

— რატომ ასე შორს?!

— ეს წინასწარი მოსაზრებითაა მეგობარო! წალვერში არაფერი კულტურული გასართობი არ არის. დამსვენებლები სანამ ორ-სამ კილომეტრს გაივლ-გამოივლიდენ, გზაში შემოაღამდებათ, კიდეც და კულტურულ გასართობზე ვეღარ გვისაყვებდურებენ. დავათვალიერე ბაზარი. ფასების სიჭრელე, სპეკულაცია თვალსაჩინოა.

— როგორ? ამ მდგომარეობას არ ამჩნევენ.

— როგორ არა, მაგრამ ბაზრის მუშაკები თავს არ იწუხებენ. მათ არ სცალიათ, რადგან სასადილოები წელს კარგად მოწყობილია და ღვინოებიც საუკეთესოა. — იხუმრა ვილაცამ.

სასადილოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ ამ დროს საკ. პროფსაბჭოს ბორჯომის სანატორიუმის კომენდანტმა ვანო გელაშვილმა და მღებრიშვილმა ახალ გარემონტებული სასადილო ჩაღწეს და გაღწესილებმა დანებით დაჩეხეს ერთმანეთი.

— მერე მილიცია?

მილიციას სად ნახავთ ასეთ დროს, თავს უფროთხილდებიან.

შორიდან მოისმა, ვილაცას სიმღერა:

რა კარგია ნადის ძირში
სადილი და ღვინით თრობა,
რომ დარდები გავიქარვით.
თორემ მოგვალა უნაფლობამ

— როგორ, ნავთი არ არის?

— ბორჯომში ნავთი რამდენიც გნებავთ იმდენია, მხოლოდ მომტანი არავინ არის.

მაღაზიებიც დავათვალიერეთ.

— ეს გახლავთ საქვაჭრობის მაღაზია, რომელიც მუდამ ცალი-ფრია. — პასუხობს გამყიდველი ლომსაძე. აქ თუ რაიმე სასიკეთო საქონელი მოგვცა ბორჯომის საქვაჭრობამ, მას თანვე მოყვება ღირეჭტორის მოადგილე ქურხული, მოუყრის ნაცნობებს თავს და მათ აძლევს ჩუმად. — დაამატა ლომსაძემ.

— მოდი წყალი დავლიოთ. — გავეშურეთ კიოსკისაკენ.

— დამისხით სიროფი ლიმონის, გინდ ალუბლის.

— ჰმ! დაგვცინით თუ? სიროფიანი წყალი რომ გავყიდოთ, რა ხერია? კონიაკი, არაყი, ღვინო კი რამდენი გნებავთ მიირთვიო.

— დიეტური სასადილო სად არის?

— დიეტური სასადილო წალვერში აკრძალულია. აქ ჩამოსულთ ზოგიერთი ექიმის აზრით დიეტური სასადილო დეზინტერეას აჩენს, რადგან ჰაერი მოქმედობს ადამიანზე და მით უმეტეს მზარეულებზე, — მიპასუხა კუჭტიკვადემ, რომელიც ხიდის პირზე დამჯდარიყო და ნამცხვარს შეექცეოდა.

ამ დროს ფოსტიდან მოისმა ლანძღვა-გინება. ფოსტის გამგე ჩილოჩა და მსვენებელს აგინებდა და ტელეფონისტი ქალი სიხარულისაგან ფეხზე ვერ ღებოდა.

— დანარჩენი ხვალ დავათვალიეროთ. — ვუთხარი ჩემს ნაცნობს და ბინისაკენ გავეშურეთ.

ივანიკა



ნეტა ფეხი არ გამოშედგა, ვერ დავეტიე ამ დასაქცევ სოფელში... რა ჯანდაბა მომარბენინებდა, კისერი და კინჩხი მეტეხა, რას დევძებდი.

ცოლის ძმა მყავს აქანა, დოხტურობას სწავლობს, ჩვენ გვეგონა გაათავებს და დოხტურათ ჩამოვათქვა და დოხტურათ კი არა, მოუსვია ბატონო ხელი და ხუთი ცოლი მოუერთავს. ამ ოჯახდასაქცევს, რანაირათ უნდოდა ხუთი ცოლის შენახვა, მე ერთი ცოლი მყავს და აგერ აგერ ამომძრობა სული იმდენ მოთხოვნისებებს მიყენებს... ჩვენ ფულებს უგზავნიდით და ის თურმე დაყოლობდა აქანა და ქალებს დასდევდა. უთხოვია ბატონო ოთხი ცოლი, შეირთო მეხუთე და რო აპირებდა თურმე მეექვსეს თხოვას, ვეღარ მოუთმენია მეხუთეს და უშვლენია თავში რკინის ჯოხი და ში გოუროყავს თავი. ახლა ბალნიცაშია და კვდება... ჩამეველი ქუთისიდან საშველად ვითამ, მარა მე ვარესი დემემართა, ჩამეველი თბილისში, სტანციასთან ჩავჯვდი იმ ტრანვაია თუ რაცა ჯანდაბაა, ტრამათ გოუხდა ყველაფერი ვინც ის შეიგონა, დასაჯდომი არ იყო და ფეხზე დაუდექი, უცბათ გაქანდა, დამეტაკა ვინცა უკნიდან, წვეიქეცი და ცხვირპირით ვინცა ქალის კალთაში ვტუცე თავი. უკაცრავათქვა უთხარი, მარა გულმოსული დამიყვირა: „მთვრალი ხომ არ ხარ, ფეხზე რომ ვერ დგები!“ „უკან დამეტაკა ვინცა და იმიტომ დავეტაკეთქვა“. ვუთხარი მე. გეიარა ცოტა ტრამვაიმ და რო გაჩერდა, გაჩერდა და მის წასვლას აღარაფერი ეშველა. რა ამბავია, რა ამბავია, თურმე ჩვენ წინ მიმავალ ტრამვაის ვინცა თუ რაცა გოუტანია—გევიხედე ჩვენს უკან, რაც თფილისში ტრანვაებია ყველა ჩეიპწაკა, ვართ გაჩერებულნი. დეიცალა ადგილი იმ ქალის პირდაპირ და დავჯექი. იმდენხანს გაჩერდა ტრანვაი რომ ქე ჩამძინებოდა, ყვინთვაში კილო ქე არ ჩოუარდი იმ ქალს თავით კალთაში!.. წამოვარდა და დაიყვირა: „შტო ზა ნახალიაო“. უკაცრავად, მე ნახალია კი არა გვახარია გახლავართ ქუთაისიდან თქვა. — აგერ უკან ვინცა ბიჭი დვას და იმანაც ამეკვიატა, — შენ ძმაო პოდრათათ ხომ არ გაქ აღებული ქალების კალთაში გორიალიო. მეორემ დეიძახა: უკეთეს ადგილს სად ნახავსო. მე ვუთხარი: თქვენ მასტრები ყოფილხართ ბიძიათქვა და გადმეველი ტრანვიდან. — გადმეველი თუ არა, არ გხმიდვამს სამი ნაბიჯი, ქე არ ეინძრა ტრამვაი... აქეთ ვეცი, იქით ვეცი და რავაც იქნა მეოთხე ვაგონში ჩავჯვდი. ჩამეველით გორონციის ხიდთან თუ არა და, გაჩერდა, სრული ერთი საათი ვიყავით, რა ამბავია რა ამბავია... ჩვენი წინა ვაგონი დეტაკა რაცხასაო. იმე, რალა მე რო მეჩქარება, მაშინ ჩერდება და სრესავსთქვა და გოუდექი ფეხით. მე ვთქვი, რო მივალ ავთამყოფთან ცოტა ფულს დაუტოვებთქვა, ცალკე გადავდედებთქვა, ჩევიყავი ჯიბეში ხელი, შენს მტერს სადაა ჩემი პორტმანი, ქე არ ამოუც-

ლიათ... ვიტკლიცე შუბში ხელი, მოვტრიალდი, მივარდი ისევე ტრანვაისთან, ამას ვკითხე, იმას ვკითხე, მეტი არაა შენი მტერი მე ის ვეღარ ვნახე. მითხრეს: მილიციაში წადიო. წვეელი მილიციაში, მერე რა? ასე მითხრეს: გვიჩვენე ვინაა ქურდიო, მეიყვანე და ჩვენ დევიჭირავთო. იმე კაი ყოფილა თუ მე დევიჭირე და ვიცოდე ვინაა, თქვენი შველა რალათ მინდათქვა, რო ვიცოდე მე გოუსწორდები-თქვა, წადი ბიძია წადი, ჩვენ შენთვის არ გვცალიაო. რას ვიზამდი, წამოვედი, ჩავჯედი ისევე ტრანვაიში, რავაც მივაწიეთ კალავეაის თუ რაცა აღმართს, გაჩერდა, გაჩერდა და გაჩერდა. იმე ჩემს იღბალს მიაკვდა ძაღლებითქვა ვთქვი, რო ვაპირობ წასვლას და მაშინ გამახსენდა წინა ტრანვაიში კანდუქტორს მანათიანი მივეცი, მითხრა: ახლავე მოგცემ ხურდასო და მე აღარ გამახსენდა და ქე არ შერჩა.

ამ კანდუქტორს ვკითხე: ბიძია შენ ხომ არ იცნობ იმ კანდუქტორს, მე რომ ტრანვაიში


ვიჯექი, მანეთი მივეცი და ხურდა არ მომცო-თქვა.— მე რა ვიცო, ათასზე მეტი კანდუქტორიაო. კაი ბატონოთქვა უთხარი, მარა შენ ბიძია აბაზიანი მოგეცი და შაური ხურდა მეჩვენებთქვა — რას ამბობ ეიო, შენი ფული სამშაურიანი იყო და არა აბაზიანიო, იმისთანა დამიყვირა ქე შემტრება და გოუდექი გზას ფეხით. მივედი რავაც იქნა ავლაბარში, ბალნიცაში, ვიკითხე, ეს და ეს ავთამყოფი. მითხრეს: ეს ეს არის განუტევა სული, სულ არ იქნება 5 მინუტო. — აბა რა იქნებოდა, სტანციიდან ავლაბრამდის ტრანვაით 5 საათი მოუნდი სიარულს, მომაკვდავს რა გააძლებიებდა ამდენხანს. ამას აღარ დევძებ, მოკვდა, მოკვდა, მარა სოფელში არ გინდა ჩასვლა?.. რომელს გოუძლო: ცოლს, ნათესავებს თუ იმ ხუთ ცოლს, რომლებიც თავის შვილებით ჩამოვლიან, მოდი და გოუძელი. ტრანვაიას რომ არ დეეგვიანებია, იქნება ქე გადავარჩენდი?

ვასო ბალანივაძე.

სწორი დიაგნოზი

„ნივოთის კოლპსასადილოში გრ. მენალარი-შვილმა გაფლანგა 2.000 მანეთი“.

ნახ. ღონისა.



- რა გტკივათ?
- ამ ბოლო დროს ვერაფერს ვხედავ.
- ბოდიში, ნივოთის კოლპერატისვის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ხომ არა ხართ?



(სცენა წარმოადგენს საზღვრების კლუბს ქალაქ თბილისში. პრეზიდენტი, ტრიბუნაზე — ორატორი, დარბაზში საზღვრების მუშაკები და ერთი მომხმარებელი. ფარდის აწევისას იწყება კამათი).

რესტორნის № 6 დირექტორი: შესახედავად დიდებულია ჩვენი რესტორანი, აბაჟურები ბევრი ჰკიდია და ტანცებიც გვაქვს მაგიდებს შორის, მარა მაინც გვემას ვერ ვასრულებთ.

თავმჯდომარე: რატომ?

დირექტორი: მუშტარი არ დადის. ან რა უნდა ვაჭამოთ, რომ ვიდეს. სურსათი ჩვენ არ გვაქვს და სასმელი. სამაგიეროთ ძვირფასი პასუდა გვაქვს..

ოფიციალტი: ნეტავი არ გვქონდეს... ჩვენი ჯამაგირი მაგ პასუდას უნდება...

დირექტორი: მართალია, პასუდა ბევრი იმტვრევა.

მომხმარებელი: მუშტარი არ დადის და ვინ ამტვრევს ამ ქურჭელს?

დირექტორი: ჩვენი მომუშავეები. ზოგი ამტვრევს, ზოგიც იპარავს...

მომხმარებელი: ვინ მუშაობს სამზარეულოში?

დირექტორი: რა ვიცი, ამ რვა თვეში 30 კაცი გამოიცვალა.

მომხმარებელი: დირექტორი რამდენი გამოიცვალა?

კავშირის წარმომადგენელი: ხუთი...

დირექტორი: სამი...

მ ი გ ე ზ ი

„საქმილევი“ მუშათა კლუბებს ხშირად არაკვალიფიციურ ძალებს უგზავნის.

ნახ. ლებეშვიცისა.



მაჟურბელი: — მიატოვებდა, მაშ რას უზამდა, სახლშიც თუ ასე ღრიალებს ხოლმე!..

კავშირის წარმომადგენელი: აბა ჩამოთვალე...

დირექტორი: პირველი დირექტორი იყო კინოატორი...
მომხმარებელი: კინოატორისტმა რა იცის სასადილოსი?

დირექტორი: სასადილოსი არაფერი იცის, მარა ცეკვა იცის კარგი...

თავმჯდომარე: შენი რეგლამენტი გათავდა. სიტყვა ეკუთვნის რესტორან № 6 დირექტორს.

დირექტორი: კაცო, ერთი გამაგებინეთ: სად შოულობთ ამ ღვინოს „ჩონატურს“. ფასი ღვინოსა აქვს, გემო კი — ძმრის. ისეთი გემო აქვს, რომ ჩხიკვს აჩხავლებს.

ოფიციალტი: მართალია: მივიტან სუფრაზე საჭმელს და ამ ცხელღვინოს და უკანვე მომაქვს. მუშტარი ილანძღება და გარბის.

მომხმარებელი: აბა ცხელ ღვინოს ვინ დალევს ამ ზაფხულში.

დირექტორი: ყინულს არ გვაძლევს ტრესტი — არ იშოვებაო...

მომხმარებელი: კაცო, აფთიაქში მაინც იყიდეთ ყინული, სხვაგან თუ ვერ იშოვებთ.

მეკანდიტრე: ამხანაგებო, ტრესტის დირექტორის ხელმძღვანელობით ჩვენ სულ წინ მივდივართ...

მომხმარებელი: ეს მლიქვნელობაა.

მეკანდიტრე: კი არის, ამხანაგო, მლიქვნელობა, მარა ვინ გიფასებს მერე? ჰო და იმას ვამბობდი: ჩვენ კი პიროვნებს ვაცხობთ, მარა ქუჩებია ოღრო-ჩოღრო და იჭყლიტება.

მომხმარებელი: ქუჩები მოასფალტებულია.

მეკანდიტრე: რა ვიცი, კი იჭყლიტება და... ხარისხი? არ არის. მაინც მაინც ცუდი...

კავშირის წარმომადგენელი: მეშვიდე სასადილოს სამზარეულოში ქვე 50 გრადუსი სიცხეა და რაფერ იმუშავენს იქნე მზარეული. დირექტორს კაბინეტში ორი ვინტილიატორი უდგას და სამზარეულოში ერთიც არაა. დიეტურ სასადილოში 200 კაცი სადილობს და ხუთიც არ გამოდის კმაყოფილი — გემო არ ვარგა.

ხმა ადგილიდან: ახლა ამან გემო მოგვთხოვა...

გამაგრილებელი წყლის დირექტორი: ლუდი არა გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ არც ბორჯომი გვაქვს და არც ნარხანი...

მომხმარებელი: ქაფი ხომ გაქვთ?

დირექტორი: სიროფს რომ აურევ, ქაფი გამოვა, აბა რა იქნება?... უსიროფოთ კი არ ვყიდით წყალს — გვემას ვერ შევასრულებთ...

სასაუზმეს დირექტორი: ჩვენს რაიონში სასადილოების მუშაობასავსებით დამაკმაყოფილებელია. გვემას 129 პროცენტით ვასრულებთ, თუმცა ყოველ დღე გარღვევა გვაქვს 500-600 მანეთის...

მომხმარებელი: საჭმელი არაფერი გაქვთ ამერიკანკაში და რით ასრულებთ გვემას?

დირექტორი: ხანდახან პიროუკები გვაქვს.

მომხმარებელი: მარტო პიროუკები რას უშველის?

დირექტორი: მე საამაყოთ მიმაჩნია, რომ მარტო პიროუკებს ვყიდი...

თავმჯდომარე: ამხანაგებო, როგორც ვხედავ, ჩვენს სასადილოებში ყველაფერი კარგადაა. მართალია, ღვინოა ცუდი ხარისხისა, ლიმონათი იშვიათად იშოვება და ისიც თბილი, საჭმელი უგემურია და ძვირი, სამზარეულოებში პაწა უსუფეთობაა, პაწა გაფლანგვა-კომბინაციებსაც აქვს ადგილი, მარა ამას გამოვასწორებთ, საერთოდ არა გვიშავს... ისე, დადგენილება ახლა არც ქეა საჭირო. ტრესტი ამას დეინსომებს და ქე გამოასწორებს ალბათ. ა, რაღა იტყვიოთ თქვენ? თანახმა ხართ? აბა გაუმარჯოს ჩვენს კვებას.

ფარდა ნელნელა ეშვება. საზღვრების მუშაკები კმაყოფილი ბრუნდებიან შინ. მხოლოდ მომხმარებელი არ მიდის შინ, შინავატორობის სახკომატის მისამართს ეძებს. მრუსვენარია ჩვენი მომხმარებელი გინდა თუ არა მთავარი გემრიელი სადილი და ისიც ჩაცივებული სასმელით, სუფთად, იაფად. არ მისცემ და გაგწერს გაზეთში „ნიანგში“ გაგათხავს.

რა ქნან ასეთ პირობებში საზღვრების ხელმძღვანელებმა?

გრ. ბათუმელი.

„მშენებელი“

ნახ. ან. კანდელაკისა.


აბაშის რაი-საგზაო განყოფილების გამგე ი. ში-
ჭაძეს საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულებაზე
გაბერილ ცნობების მიწოდებით სურს გაზარდოს
ლების სამმართველო შეიყვანოს შეცდომაში და
თავისი გარღვევები მიჩქმლოს.

ბრძოლაში
ბიზლირთქა



ამბობენ: ხერხი სჯობია ღონეს.
გეგმებს ვასრულებ ზუსტად, ადვილად

სურათიც გეტყვით, რომ მართალს ვამბობ
და არ ჩამითვლით ნათქვამს ქაღილად.



ფინანსის გამგე (რომელი რაციონის, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან სხვა რაციონებშიაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ანალოგიურ შემთხვევას; თუმცა-ღა ამბობენ, რომ ეს სიღნაღის რაციონში მოხდა)... ჰო-და, რაციონის გამგემ გამოიძახა თავის ფინანსები და უთხრა:

— ილო, ხუნარი ახლა უნდა გამოიჩინო. აი დავალიანების სია. საკმაო თანხა არის მოსაკრები. რაც შეიძლება მალე უნდა ამოსწურო დავალიანება.

— გენაცვალოს ჩემი თავი, ამოვწურავ მარას ვინაში! — კვერი დაუკრა აგენტმა და წავიდა.

— ილო? ჩემი ილო! — თითქოს გაეხარდა აგენტის დანახვა სასადილოს გამგეს, რომელმაც იცოდა, რომ ილო დავალიანების ასაღებად ესტუმრა. მას.

— ბაგრატ, შენზე დავალიანება არის და თანაც ჯარიმა.

— გენაცვალოს ჩემი თავი. ჯერ ერთი ჰქონდა ღვინო დალიე, რომ კარგად შეხედო და არ შეგცდეს ანგარიშში! — უთხრა ილოს სასადილოს გამგემ და ღვინო მოაწოდა.

— ვახ, ეს ისეთი კარგი ღვინო ყოფილა, რომ კაცი დიდი ჰქონდა უკეთესად დაღევს! — თქვა ილო და ხელი დიდი ჰქონდა წაიღო.

— გენაცვალოს ჩემი თავი, დალიე, შეგერგოს. მე კასრს თავს მოვხსნი, შენ ჯარიმა მოხსენი! — უთხრა სასადილოს გამგემ.

— გენაცვალოს ჩემი თავი! — მიუგო ილო და გადახედა ღვინით სავსე კასრებს, რომლებიც სასადილოს საწყობიდან მოჩანდნენ. — ვა, რამოდენი ღვინო გქონია! — გაეხარდა აგენტს და აჭიკჭიკდა:

როცა მოგვდებ გენაცვალ
ჩამდეთ ტიკორაშია.
გადამაგდეთ თევზით
ღვინოების ზღვაშია.

სიმღერას ილომ დიდი ჰქონდა დააყოლა. ორთავე ცარიელი ჰქონდა, დიდი და პატარა, ხელში აიღო და ერთმანეთს შეადარა:

უიგალო იგალო

ნახ. დონისა.

მთარაღ მავურაბანთა
სახ. თ ვ ა ტ რ ი



— მაშ თქვენ დაბეჯითებით მპირდებით მოზარდმაყურებელთა თეატრისათვის სამი წლის წინად შეკვეთილ პიესის დაწერას?

— აუცილებლად! ორ-სამ წელიწადში აუცილებლად დავიწყებ და ხუთ-ექვს წელიწადში კიდევც დავამთავრებ.

— არა, ერთი მითხარით, ამ პატარა ჰქონდა და ამ დიდი ჰქონდა გზამკვლელები ორთავენი ოსტატები არიან? — უთხრა პატარა ჰქონდა გამკეთებელმა. უნდა ჰკადროს ამ დიდი ჰქონდა გამკეთებელს, რომ მეც შენსავით ოსტატი ვარ და შენ კი არიფიო? აფსუსს! ფინანსი! — და ილომ პატარა ჰქონდა კედელს შეამტვრია.

— რა ამბავია, მეგობარო! — გაცხარდა ვიღაც მოსადილე, რომელსაც თვალში კინალამ მოხვდა ჰქონდა ნატები და პირისკენ წაღებული ქათმის ბარკალი ხელში შერჩა.

— უკაცრავად, — მოიბოდიშა აგენტმა, — თუ შეიძლება ეს ერთი ჰქონდა ღვინო დაგვილიე! — და მან საფეხე ჰქონდა მიაწოდა.

— ღვინოს არა ვსვამ!

— შე კაი კაცო, ღვინოს თუ არა სვამ, აბა მაგ ქათმის ჭამა ტურამაც კარგად იცის, შენზე უკეთესად კიდევ! — ეს ისე უთხრა შეზარბოვებულმა აგენტმა მოსადილეს, რომ ამ უკანასკნელმა დიდხანს იცინა.

როცა „მუშაობიდან“ დაბრუნებული აგენტი აღმასკომის ეზოში ჩავიდა, თავი შეიმამგრა, რომ სიმთვრალე არავის შეეტყო.

— რა ქენი, ილო, ამოსწურე თუ არა? — შეეკითხა ფინანსის გამგე დავალიანების ამოწურვის შესახებ.

— რას ამბობ, კაცო, რა ამოწურავს იმდენ ღვინოს? — მიუგო მთვრალმა აგენტმა. რომელსაც საფინანსოების წაცვლად ღვინით სავსე ჭურები ელანდებოდა.

ისარი.

მხედ-მხედი ამბებში

საზოგადოებრივი სურვილი

ბარისაზოს (ხევსურეთი) ფოსტაში აღმოაჩინეს ჟურნალ „ნიანვის“ ერთი ეგზემპლარი. ჟურნალი გადატანილია ადგილობრივ მუზეუმში, როგორც იშვიათი ექსპონატი.

არაგველი.

პანაშვილი

გუშინ სალამოს შესღვა პანაშვილი სოფ. გონიოხ (ბათუმის რაიონი) კლუბ-სამკითხველოს გარდაცვალების ერთი წლისთავის აღსანიშნავად.

გონელი.

პანაშვილი

მარელობის გრებილ-ავეჯეულობის მუშაგის სტუდენტი ივანე ჰიბაშვილი სიმთვრალის დროს დაეჯახა რკინისგზის ნიშანსვეტს და დააზიანა.

— კო.

სენსაციი

თბილისის, სტალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საბორბლე სამკროს ბუხვალტერს — იმნაძეს ამ უკანასკნელ კვირაში ორ მუშაზე მეტი არ გაუღანძლავს.

მემანქანე.

კარდანახული დაღვა

გუშინ კარდანახის თეატრმა თხებს და ღორებს უჩვენა თავისი პრემიერა „მიშველეთ, ვინგრევი“. პიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ: წვიმა, ქარი და თეატრის დამტვრეული სახურავი-გლები.


გეგმის კაცი

თბილისის ტრამვის კონტროლიორმა კაკულიამ, ვინაიდან გუშინ ვერ შეასრულა გეგმა, ე. ი. ვერ ნახა ოცი დამნაშავე ან უღნაშაულო მგზავრი, რომ დაეჯარიმებინა, მიმართა ხერხს... სამკროს სამ-სამი მანეთით დააჯარიმა თავისი თავი და პროცენტები აიღო.

სოკე.

მ უ ს რ უ ზ ი

აბს. ნიანგო!



მგზავრებს ცოლად ასალეზს,
მშობს კუჭის ბასალეზს.

რევიზორ ვლადიმერ მუქერიას მატარებელით დაყავს უბილეთო ქალეზა, რომელმაც თავის ცოლებს უწოდებუ. ამის გამო ლნ-1-ში 4 ოქმია მუქერიაზე შემდგარი. ხაქმე ამხანაგურ სახა-მართლოს გადაეცა.

ფანჯრებს ფარდა მოაცალა
რევიზორმა არაცალა.

გამცილებელ მარქაროვს სისტემატურად უბილეთო მგზავრები დაყავს 7 სექტემბერს მან ვაგონიდან მოიპარა ფანჯრის ფარდები, ქურდს დანაშაულზე მიუხრებს და ნადავლი დაატოვებებს.




დღეს მართაა მისი „ცოლი“
ზვალ ტასო და ზეგ თამარი,
რევიზორები დაამყარა:
არვინ არის მისი დარი.

კ მ ე რ ც ხ ე ბ ს შ ი ღ ე ს...

ხამგზავრო მატარებლის გამცილებელი მარია ბუზულუკი მატარებელში წახვლის დროს კვერცხებით ვაჭრობს.

მარო ბუზულუკს საბუთთა მუშაკად მოაქვს თავია, დადის და სპეკულიანტობს: კვერცხების გამყიდვავია.



უბილეთო მგზავრს, რომ ნახავს ტანში უვლის ურუნტელი, რევიზორს თუ მოეფარა, გადალახა განსაცდელი.

ჩამოუვლის სათითაოდ ზოგს ხუთსა სთხოვს, ზოგსა თუმანს, და როდესაც ფულს მობოჭავს, მღერის „გიდი აბასთუმანს“.

ქრთამის ღებას არ დასჯერდა, მოიპარა სარკმლის ფარდა, წამოესწრო რევიზორი და ხელიდან გაუფარდა...

ძნელ - ოღლი

სახინმრეწვის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში „დაკარგულ სამოთხის“ შესახებ მე, სხვათაშორის, კომპოზიტორად ვარც გამოცხადებული

გარწმუნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ მე კომპოზიტორი თავის დღეში არ ვყოფილვარ და არც მინდა ვიყო. საბედნიეროდ, ახლა ჩვენში იმდენი კომპოზიტორებია, რომ მე ზედმეტი ვიქნებოდი. ამისათვის გთხოვ აბს. ნიანგო, მიშუამდგომლო კინორეჟისორ აბს. რონდელთან, გამანთავისუფლოს კომპოზიტორობიდან, ვინაიდან მე, სურათ „დაკარგულ სამოთხეში“ ვღებულობ მონაწილეობას არა როგორც კომპოზიტორი, არამედ, როგორც მსახიობი.

პატივისცემით რესპ. დამს. არტისტი

ვასო ბალანჩივაძე

გოღორკი

ზურას (ზესტაფონი) ნიანგს განსაკუთრებით მოეწონა უკანასკნელი ორი სტრიქონი თქვენი ლექსის იმ ნაწყვეტისა, რასაც აქ ვათავსებთ:

როცა კაცს მუზა გაწუხებს
რად გინდა ბევრი ჯანჯალი
ჩამოქბი ლექსი ზღვასავით(1)
გაკვეთავს, როგორც ხანჯალი

მეც ხელთ ავიღე კალამი
და გაუღესე წვერია,
დიდი ხანია, ნიანგო,
ლექსი არ დამიწერიან...

საუცხოო საქმე გიქნიათ! ნურც აწი დასწერთ.

ზორაპნელს (ზესტაფონის რ.) ზორაპანში სასადილოები ბევრია და არ ვიცი, რომელ მათგანს ეხება თქვენი ლექსი. ყოველ შემთხვევაში მისი გამგე ბაკურაძე (არც მის სახელს ამბობთ) მართლაც ჩანგალზე წამოსაგები ყოფილა, თუ კი მართალია თქვენი ლექსის აქვე მოყვანილი ტაეპი:

აქ რომ სოლუს მოგვიღიან
სხვაგან ნახავ ძლიერ ძნელად
ნავით უნდა შეუტურდე
ხორცის ნაჭერს დასაჭერად.

მოგის (აქვე) ალბათ ზაფხულის ცხელ დღეებს თქვენს „მუზაზე“ ცული გავლენა მოუხდენია, თუმცა არ გვგონია, რომ ამინდის და ტემპერატურის ცვალებადობამ მის განკუთრებაზე გადამჭრელი გავლენა მოახდინოს. აი თქვენი ლექსის საუკეთესო ადგილი:

ტურფავ, რას გაჯავრებულხარ,
რატომ მიცქერი მტრულადა
ჩემს ფანჯარაზე დასკუბდი,
მიმღერე კონკრეტულადა.

თქვენი სატროფოს ფანჯარაზე დასკუბების რა მოგახსენოთ და თქვენი ლექსი კი უფსკვერო გოდორში გადასკუბდა.

შალონი.

გ ა კ მ რ ი თ

თბილისის რკ. გზ. საქონლის სადგურში მარჯვენამ არ იცის რას აკეთებს მარცხენა: მათ გამომცემლობა „მუსის“ მისამართით დატვირთული ქალაქით სავსე ვაგონი № 618941 შეცდომით სურამში გაგზავნეს და მის ნაცვლად გამომცემლობას ჩააბარეს ვაგონი № 618931.

— აჰა, მოსულა ჩვენი ქალაქი, — სიხარულით წამოიძახეს რედაქციის მუშაკებმა. მაგრამ უკაცრავად, ქალაქი კი არა, რკინეულობა აღმოჩნდა შიგ.

— სად არის ჩვენი ქალაქი? — ეკითხებიან სადგურს.

— თქვენი რკინაა და არა ქალაქი. — დავობენ სადგურის მუშაკები. იღავებდნენ მთელი წლოვით, რომ სურამში ვაგონს არ მოსწყენოდა ამდენი დასვენება და ღია ბარათით არ მიემართა თბილისის სადგურისათვის:

ამხანაგო თბილისის სადგურო! მადლობო, რომ ამდენხანს დამახვეწე ავარაკზე, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. დიდხანს ავარაკიც მოსაწყენია, სურამში ხომ სტამბა არ არის, არც ვაჭეთი გამოდის, რა საჭირო ვარ აქ ვაჭერადე ქალაქით გატენილი? გამცინის ქვეყანა. გთხოვთ ნება მომცეთ დავბრუნდე უკან. პატივისცემით დავიწყებული ვაგონი № 618941.

საქონლის სადგურის მუშაკებმა ღია ბარათზე ხელად დაადგეს რეზოლუცია: ნება მიეცეს

ვაგონ № 618941 დაბრუნდეს ავარაკიდან. შეუდგეს თავის მოვალეობას.

მოდოდა ვაგონი გზაში და იცინოდა, კედებოდა სიცილით: კვი! საქონლის სადგურს თუ ჰგონია, რომ ისევ მათ ჩაუფარდები ხელში, ვაი თუ კიდევ სადმე ავარაკზე გამგზავნონ, მე კი კარგად ვიცი ვისაც ვეკუთვნიო. — სტეჟა და სიხარულით პირდაპირ რედაქციის გამომცემლობაში ამოჰყო თავი. ეს იყო აგვისტოში.

— იქნებ იფიქროთ, ძვირფასო მკითხველო, რომ ამით ამოწურა ყველაფერი? — ცდებით. გამომცემლობამ მართალია, ქალაქი კარგა ხანია მიიღო, მაგრამ საქონლის სადგური კიდევ დიდხანს ეძებდა ავარაკზე მყოფ ვაგონს და „აღმოჩენის“ შემდეგ გამომცემლობას ასეთი მომართვა გამოუგზავნა:

„თქვენი ქალაქი მიღებულ ია, გთხოვთ სასწრაფოდ გადატვირთოთ“. — სწერდნენ საქონლის სადგურიდან რედაქციას ა. წ. 7 სექტემბერს.

მართლაც რომ საქონელი ყველა ერთნაირია. ზოგი ოთხფეხია, ზოგი ორფეხი, ხშირად ოთხფეხი უფრო ჭკვიანია, ვიდრე ორფეხი, მაგრამ ეს როლი ითქმის საქონლის სადგურის ზოგიერთ მუშაკზე?...

პ. მგ. რედაქტორის მოვალ. აღმასრულებელი: ს. ბაჩიჩილაძე

რედაქც. მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5.

პოლიგრაფკომბინატი, უორესის ნ. გადაეცა ასაწყობად 8/IX, ხელმოწერილია დასაბეჭდათ 25/IX. შეკვეთა № 1080. მთავ. რწმ. № 18453.

მის ნაცვლად, რომ საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირს დაეწყო გამოცემა მასობრივი ხასიათის მეცნიერულ-მხატვრული პერიოდული უფრნალისა, მან გამოსცა მხოლოდ მოსკოტანიანი თეოლოგიური ხასიათის სიათის კრებული, რომელიც ორი მანეთი ღირს და რომლის მომსახურებაც მისი შინაარსის მახეღვი მხოლოდ ანტირელიგიური წრეების პროპაგანდისტთა და ხელმძღვანელთათვის არის გათვალისწინებული.

ნახ. მ. ლებუშვილისა.



— გავუხვავთ და გამოვუხვავთ, ვინც რა უნდა თქვასო, კობტა წიგნი გამოხსულა — ჩვენს წიხტვილზე ფტევაფსო!..